ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
N78

2025 წელი; 19 ივნისი; 11:00 სთ; **ქ. თბილისი**

თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ნინო ვარდოსანიძე (თავმჯდომარე)
ზურაბ აბაშიძე
ნინო რუხაძე
მარიამ გელაშვილი
ავთანდილ ცინცაძე
კახაბერ ლაბუჩიძე

მოწვეული პირები:

1. **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. **თამარ ბერუაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
4. **დავით ჩანქსელიანი** - შპს „თბილსერვის ჯგუფის" სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ნარჩენების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
5. **თამაზ ალიბეგაშვილი** - ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის დირექტორი;
6. **სერგო ბირკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი;
7. **ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი;
8. **ირაკლი გვილავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი;
9. **შალვა ლომსაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი.

სხდომის თავმჯდომარე:

ნინო ვარდოსანიძე
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების ან/და ფიტნესდარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის №52-16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-98 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N713 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
7. „ქალაქ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა N36-ში მდებარე, N01.10.17.023.001.01.01.033, N01.10.17.023.001.01.01.032 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციისთვის“ (ს/ნ 405185400) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
8. „ქალაქ თბილისში, ლადო გუდიაშვილის მოედანი N7/ბეგლარ ახოსპირელის ქ. N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.03.052.001) მდებარე ფართების პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „დამოუკიდებელი კინო პროექტისთვის“ (ს/ნ 405378167) თხოვების ფორმით

სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „გრანდ თაუერს“ (ს/ნ 405269891) შორის 2021 წლის 29 დეკემბერს გაფორმებულ „ქ. თბილისში, იოანე პეტრიწის ქუჩის ბოლოს მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.06.001.263 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2010 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ია ოთარაშვილს (პ/ნ: 01017039663) შორის, 2021 წლის 14 აპრილს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-579-9-26137 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალმას“ (ს/ნ: 204873388) შორის 2020 წლის 18 ივნისს გაფორმებულ „ფეხით გადასასვლელი ხიდების მშენებლობის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ნ.გ.ბ.“-ს (ს/ნ: 405193678) შორის 2024 წლის 24 ივლისს გაფორმებული „ქალაქ თბილისში შპს „ათორის“ (ს/ნ: 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ მშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებული პირების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „ნ.გ.ბ.“-ის გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, გიორგი აბაშვილის ქუჩა N9-ის მიმდებარედ არსებული 4 813 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.19.004.118) და ქალაქ თბილისში, აბაშვილის ქუჩა N7-ის მიმდებარედ არსებული 343 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.19.19.004.110) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში არსებული 966 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.13.023.036) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

15. „ქალაქ თბილისში, ზურა ავალიშვილის ქ. N12-ში მდებარე N163 ბინის და N164 ბინის (საკადასტრო კოდები: N01.14.14.005.197.01.03.163; N01.14.14.005.197.01.03.164) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
16. „ქალაქ თბილისში, ზურა ავალიშვილის ქ. N12-ში (ბლოკი „ც“) პირველ საცხოვრებელ სართულზე მდებარე N166 ბინის (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.197.01.03.166) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
17. „ქალაქ თბილისში, ზურა ავალიშვილის ქ. N12-ში მდებარე N180 ბინის (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.197.01.03.180) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
18. ,,ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.004.012.01.718) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
19. ,,ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.076.01.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
20. ,,ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, მე-4 მიკრორაიონის კორპუს N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.08.003.002.01.071) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
21. ,,ქალაქ თბილისში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში, კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.018.01.569) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
22. ,,ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, მე-4 მიკრორაიონის კორპუს N93ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.002.053.02.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
23. ,,ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N25-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.04.004.002) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
24. ,,ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი N261-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.016.014.01.032) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
25. „ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N75-79-ის მიმდებარედ არსებული 1074 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.04.013.051) 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იათამზე ვერულაშვილისთვის (პ/ნ 01008004718) იჯარის

ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

26. „ქალაქ თბილისში, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 86 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.033.934) და 66 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.033.936) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თ და კ რესტორნებისთვის (ს/ნ 204909180) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

27. „ქალაქ თბილისში, გვეტაძის ქუჩა N8-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.05.012.042) პირდაპირი განკარგვის წესით მალხაზ ცუცქირიძისთვის (პ/ნ: 01017009056) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

28. „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N18, კორპუსი N2-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.34.002.250) პირდაპირი განკარგვის წესით ემზარ ილურიძისთვის (პ/ნ 01024009833) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

29. „ქალაქ თბილისში, ანა კალანდაძის ქ. N16-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.018.072) პირდაპირი განკარგვის წესით ნინო ხითარიშვილისთვის (პ/ნ 01021010879) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

30. „ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზირი N31-41-ის მიმდებარედ არსებული 193 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.026.024) 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ფაჰად აფზალისთვის (პ/ნ: 34602-5511803-7; C/N:BU1518033) და აიმა დანიელისთვის (პ/ნ: 42301-5644909-4; CN:BB9859092) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

31. „ქ. თბილისში, აბანოს ქუჩა N15/6-ში არსებული 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.063.061) პირდაპირი განკარგვის წესით თამაზ ლონდარიძისთვის (პ/ნ: 01027000350) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

32. „ქალაქ თბილისში, შარტავას ქუჩა N42-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.036) 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით მზია გაგოშიძისთვის (პ/ნ 01024002077) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

33. „ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქ. N39-ის მიმდებარედ არსებული 21 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.048.036) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კალა უბანი ჰოსფითალითისთვის“ (ს/ნ: 404737148) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

34. „ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N20-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.008.037) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ღვინაძე და პარტნიორებისთვის" (ს/ნ: 205294545) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

35. „ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N4-ში მდებარე 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.17.011.057) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „4 პეკინისთვის" (ს/ნ 404883337) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

36. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ რობაქიძის გამზირი N7გ-ში მდებარე 93 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.04.004.088) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გრინ თაუნ დეველოპმენტისთვის" (ს/ნ 402050588) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

37. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ალექსი გობრონიძის ქუჩა N17 და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.17.003.440, ფართობი - 1747 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

38. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N194-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.10.06.011.003, ფართობი - 17 000 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

39. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N194-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.10.06.011.003, ფართობი - 17 000 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

40. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის N109-ში მდებარე მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდები: N01.18.09.007.007; N01.18.09.007.006) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

41. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ელგუჯა ამაშუკელის შესახვევი N11; ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, მე-2 მიკრორაიონი, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარე ტერიტორია; ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობის IV მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.576, ფართობი - 2394 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების

საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

42. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, შეშელიძის ქუჩა N18-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.04.026.046, ფართობი - 9 377 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

43. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ელენე ვირსალაძის I ჩიხი N3, N3ა, N3-ის მიმდებარედ, N1, N1ა, ელენე ვირსალაძის ქუჩა N8, N8ა, N12, N12-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.14.010.017, ფართობი - 3 342 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

44. „მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1 (ს/კ N 01.10.13.015.114) და შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის გასატარებელი ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის უძრავი ქონების/ინდივიდუალური ფართების საკუთრებაში გადაცემისა და N01.10.13.015.114 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული ვალდებულების გაუქმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

45. „მისამართზე - ქ. თბილისი, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის (ს/კ N01.18.06.018.052) - არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის დაინტერესებული პირის - შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსის“ (ს/ნ 405159340) მიმართ გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

46. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალური შემადგენლობის ცვლილების თაობაზე;**

47. **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წესდების ცვლილების ცნობად მიღების თაობაზე.**

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. **ლევან მიქავამ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით პირველ საკითხად განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **2025 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2025 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების (45 650,0 ათასი ლარი) გამოყენების, მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლებისა და მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, კერძოდ:** იზრდება მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობა დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 700,0 ათასი ლარით (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2025 წლის 16 მაისის MOH 4 25 00543573 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 22 მაისის N15-01251422201 წერილი), ხოლო სხვა შემოსავლების ნაწილში მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 800,0 ათასი ლარით და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (შემოსავლები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობისთვის) - 15 000,0 ათასი ლარით. **შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით, ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება სულ 62 150,0 ათასი ლარით და შეადგენს 2 271 497,5 ათას ლარს.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების წინადადებები დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ; ხოლო აღნიშნულის გათვალისწინებით, ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება: გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები – 4 000,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) – 500,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 01 01 09) – 1 200,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) – 600,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 01 01 11) – 165,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში (კოდი 01 01 12) – 800,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) – 1 600,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში (კოდი 01 01 15) – 1 000,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 01 01 16) – 950,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) – 800,0 ათასი ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) – 2 000,0 ათასი ლარით, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) - პროგრამის ასიგნებები - 2 000,0 ათასი ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) - 10 850,0 ათასი ლარით, ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი 02 07) – 3 000,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) ქვეპროგრამის ასიგნებები – 450,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) – 1 200,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) – 550,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის

რაიონში (კოდი 02 09 13) – 600,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) – 300,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) – 1 200,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) – 1 300,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) – 250,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) – 600,0 ათასი ლარით; გამწვანების ღონისძიებების (კოდი 03 01) პროგრამის ასიგნებები – 2 000,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) ქვეპროგრამის ასიგნებები – 1 700,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) – 300,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი 05 01 10) – 400,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) – 450,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) – 1 300,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში (კოდი 05 01 13) – 1 950,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში (კოდი 05 01 14) – 925,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15) – 500,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) – 200,0 ათასი ლარით, გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებისა და კვლევების დაფინანსება (კოდი 06 01 05) – 800,0 ათასი ლარით, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია (კოდი 06 01 06) – 100,0 ათასი ლარით, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 07) – 300,0 ათასი ლარით, ტრანსპლანტაცია (კოდი 06 01 13) – 500,0 ათასი ლარით, სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (კოდი 06 02 09) – 500,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 16 08) – 250,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 16 10) – 60,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 16 12) – 150,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ისნის რაიონში (კოდი 06 02 16 13) – 70,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 16 16) – 100,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) – 350,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 18 08) – 240,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) – 150,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10) – 225,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 18 11) – 150,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) – 230,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 18 14) – 200,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) – 100,0 ათასი ლარით, პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფა (კოდი 06 02 27) – 700,0 ათასი ლარით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) – 3 000,0 ათასი ლარით, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) – 2 800,0 ათასი ლარით, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) – 232,0 ათასი

ლარით, პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა (კოდი 07 04) პროგრამის ასიგნებები – 800,0 ათასი ლარით, ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრის (კოდი 08 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 70,0 ათასი ლარით, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 02) პროგრამის ასიგნებები - 14,0 ათასი ლარით, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) ქვეპროგრამის ასიგნებები – 953,6 ათასი ლარით, საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი" (კოდი 08 04 01) – 44,0 ათასი ლარით, ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა პატრონობა (კოდი 08 04 03) – 27,7 ათასი ლარით, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) – 60,4 ათასი ლარით, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 05) პროგრამის ასიგნებები - 900,0 ათასი ლარით, სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) – 2 900,0 ათასი ლარით, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) – 400,0 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 08 11 02) – 60,0 ათასი ლარით, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 08 11 03) – 100,0 ათასი ლარით, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 08 11 07) – 100,0 ათასი ლარით, თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი (კოდი 08 12) პროგრამის ასიგნებები – 9,6 ათასი ლარით, ინკლუზიური ხელოვნებისა და განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 13) – 50,0 ათასი ლარით, ქ. თბილისის საკრებულო (კოდი 10 01) – 1 500,0 ათასი ლარით, ისნის რაიონის გამგეობა (კოდი 10 33) – 75.0 ათასი ლარით.

მცირდება: შემოქმედებითი თბილისის (კოდი 08 09) პროგრამის ასიგნებები - 61,3 ათასი ლარით და თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა (კოდი 10 47) – 3 000,0 ათასი ლარით.

მომხსენებლის განმარტებით, ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამების/ქვეპროგრამების ჩამონათვალს ემატება **ახალი ქვეპროგრამა - რევმატოიდული ართრიტის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 10) – 300,0 ათასი ოდენობით.**

მომხსენებლისვე მითითებით, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) ქვეპროგრამის ფარგლებში, **გაიზარდა ა(ა)იპ მუზეუმების გაერთიანების მომუშავეთა რიცხოვნობა 5 ერთეულით,** ხოლო ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) ქვეპროგრამის ფარგლებში **ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მომუშავეთა რიცხოვნობა მცირდება 18 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში შემცირდა 13 ერთეულით და განისაზღვრა 4957 ერთეულით.**

მოხსენების მიწურულს, ლევან მიქავამ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 014 077,0 ათასი ლარის ოდენობით** და ნამთის ცვლილება 257 420,6 ათასი ლარით. ამასთანავე, **შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 934 077,0 ათასი ლარით,** ბიუჯეტის **გადასახდელები განსაზღვრულია 2 271 497,5 ათასი ლარით,** აგრეთვე, ვალდებულებების ცვლილება შეადგენს 41 455,3 ათას ლარს, ხოლო ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 215 965,3 ათასი ლარით. **მომხსენებელმა აქვე დასძინა,** რომ **დადგენილების პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო, დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.**

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა დადგენილების პროექტის პირველი მუხლის პრეამბულაში „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილების გამოქვეყნების თარიღის სწორად მითითების, ასევე დადგენილების პროექტის მუხლობრივი ნუმერაციის სწორად ჩამოყალიბების და „მუხლი 3-ის“ ნაცვლად, „მუხლი 2-ის“ მითითების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ირაკლი გვილავამ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეორე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების ან/და ფიტნესდარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესში“ (შემდგომში - „წესი“) ცვლილების შეტანას.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის მაღალი მიმართვიანობის გათვალისწინებით, ქვეპროგრამაში ჩართული სუბიექტები ვერ უზრუნველყოფენ მომსახურებაზე არსებული მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას. შედეგად, ბენეფიციართა მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ ახერხებს აღნიშნული პროგრამით სარგებლობას, რაც ზღუდავს სერვისზე ხელმისაწვდომობას. ქვეპროგრამის ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად და ბენეფიციართა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, აუცილებელია სხვა სპორტული დაწესებულებების დაინტერესება. **გარდა ამისა, ბენეფიციართა უკუკავშირისა და სერვისის მიმწოდებელთა შეფასებების საფუძველზე გამოიკვეთა სერვისის მოცულობის (ვიზიტების რაოდენობის) გაზრდის აუცილებლობა. აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს როგორც მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, ისე ქვეპროგრამის ეფექტიანობის და ბენეფიციართა კმაყოფილების გაზრდას.**

მომხსენებლის განმარტებით, ცვლილება ასევე ეხება საცურაო აუზზე ან/და ფიტნესდარბაზში ერთი ვიზიტის ღირებულებას, კერძოდ, **ერთი ვიზიტის ღირებულება განისაზღვრება არაუმეტეს 10 (ათი) ლარით საცურაო აუზის შემთხვევაში და არაუმეტეს 8 (რვა) ლარით ფიტნესდარბაზის შემთხვევაში, ნაცვლად მოქმედი ფიქსირებული 6 (ექვსი) ლარისა.** აღნიშნული **ცვლილების მიზანია, კერძო სექტორის წარმომადგენელი სხვა სპორტული დაწესებულებების ქვეპროგრამით**

დაინტერესება, ბენეფიციართა მოთხოვნის მაქსიმალურად დაკმაყოფილება და მათთვის მომსახურების მიღების არეალის გაფართოება.

მომხსენებლისვე მითითებით, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის და ბენეფიციართა უკუკავშირის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ თვეში 9 (ცხრა) ვიზიტი ვერ უზრუნველყოფს მომხმარებელთა მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას. **შესაბამისად, სერვისით სარგებლობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, ცვლილება შედის ვიზიტების რაოდენობის კომპონენტში და თვეში ანაზღაურებადი ვიზიტების მაქსიმალური რაოდენობა იზრდება 9-დან 10 ვიზიტამდე.**

მოხსენების მიწურულს, ირაკლი გვილავამ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე და **აქვე დასძინა,** რომ **დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.**

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ მიზანშეწონილად მიიჩნია დადგენილების პროექტიდან ამოღებულ იქნეს „დანართის" შესახებ მითითება, ასევე დადგენილების პროექტის ხელმომწერ პირად გიორგი ტყემალაძის ნაცვლად მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე. აღნიშნული რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. თამარ ბერუაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მესამე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის №52-16 დადგენილების** პირველი მუხლით დამტკიცებულ **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 27) განხორციელების წესში" (შემდგომში - „წესი") ცვლილების შეტანას.**

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ცვლილება შედის წესის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში, რომელიც ეხება მოსარგებლეთა ქვეპროგრამაში ჩართვის პროცედურებსა და წარსადგენ დოკუმენტაციას. კერძოდ, წესიდან **ამოღებული იქნება მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტი.** წესის მოქმედი რედაქციის მიხედვით, მომსახურების მაძიებელ პირს/მხარდამჭერს/კანონიერ წარმომადგენელს, მიმწოდებლისთვის განცხადებით მიმართვისას, სხვა დოკუმენტაციასთან ერთად უნდა წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

ტერიტორიაზე რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც შეესაბამებოდა ამავე წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირობებს. აღნიშნული დოკუმენტის მოთხოვნის მიზანს წარმოადგენდა 18 წელს მიღწეული, ქვეპროგრამაში ჩართვის მსურველი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე საქართველოს მოქალაქის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უწყვეტი რეგისტრაციის ფაქტის დადგენა. თუმცა, წესის მოქმედი რედაქციის მიხედვით, **მისამართზე რეგისტრაციის უწყვეტობის დადგენა, განსაზღვრული პერიოდულობით, არ წარმოადგენს ქვეპროგრამაში ჩართვის აუცილებელ კრიტერიუმს,** ხოლო **რეგისტრაციის ფაქტის გადამოწმება შესაძლებელია განხორციელდეს თავად სამსახურის მიერ,** მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს ვებ-გვერდის საშუალებით, რომელიც თავის მხრივ, ინფორმაციას იღებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე.

მომხსენებლის მითითებით, წარმოდგენილი **ცვლილების მიზანია, მეტად მოსახერხებელი გახდეს ქვეპროგრამაში ჩართვისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაციის შეგროვებისა და დამუშავების პროცესი, როგორც მომსახურების მაძიებელთათვის, ისე ქვეპროგრამის განმახორციელებლისთვის.**

მოხსენების მიწურულს, თამარ ბერუაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე და **აქვე დასძინა,** რომ **დადგენილების პროექტის მეორე მუხლით დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.**

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ მიზანშეწონილად მიიჩნია დადგენილების პროექტიდან ამოღებულ იქნეს „დანართის“ შესახებ მითითება, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. თამარ ბერუაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეოთხე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-98 დადგენილების** პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ **„100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების“ (კოდი: 06 02 05) ქვეპროგრამის განხორციელების წესში“ (შემდგომში - „წესი“) ცვლილებების შეტანას.**

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, **ახლებური რედაქციით ჩამოყალიბდება წესის მე-2 მუხლის (ქვეპროგრამის მოსარგებლეები და ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მოცულობა) პირველი პუნქტი,** რომლის თანახმად, ქვეპროგრამის მოსარგებლე დევნილის სტატუსის მქონე 100 წლის და მეტი ასაკის პირებისთვის, ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მისაღებად, **აუცილებლობას არ წარმოადგენს ისინი აკმაყოფილებდნენ ზემოაღნიშნული პუნქტის ისეთ მოთხოვნას, როგორიცაა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 1 (ერთი) წლის განმავლობაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში უწყვეტად რეგისტრაცია,** ვინაიდან, **დოკუმენტი - იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობის ასლი, რომელსაც ისინი წარმოადგენენ, არ იძლევა მისამართზე რეგისტრაციის უწყვეტობის გადამოწმების საშუალებას. შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერი არის უფუნქციო. დადგენილებით გათვალისწინებული სამართლებრივი რეგულირებისა და სამსახურის მიერ ქვეპროგრამის ადმინისტრირების პროცესის თანხვედრის მიზნით, საჭირო გახდა ზემოაღნიშნული პუნქტის რედაქტირება.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ცვლილება შედის ასევე წესის მე-3 მუხლის პირველ პუნქტში. ცვლილება ეხება ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით, **ქვეპროგრამის განმახორციელებლისთვის წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას.** კერძოდ, წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ფულადი დახმარება გაიცემა ერთჯერადად, საბიუჯეტო წლის განმავლობაში, მოსარგებლის ან მისი უფლებამოსილი პირის მიერ ქვეპროგრამის განმახორციელებლისადმი წარდგენილი განცხადების საფუძველზე. განცხადებას თან უნდა ერთოდეს 100 წლის და მეტი ასაკის პირის პირადობის მოწმობის ასლი და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსგს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ გაცემული საინფორმაციო ბარათი. **წესის მოქმედი რედაქციის მიხედვით, იძულებით გადაადგილებულ პირებს, ზემოაღნიშნულ დოკუმენტაციასთან ერთად, დამატებით უნდა წარედგინათ იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობის ასლიც. თუმცა, აღნიშნული ჩანაწერი,** იძულებით გადაადგილებული პირებისთვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსგს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ გაცემული საინფორმაციო ბარათის მოთხოვნა, **წარმოადგენდა ტექნიკურ ხარვეზს.** პრაქტიკაში ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ, ქვეპროგრამის განხორციელებისას, ზემოაღნიშნული სტატუსის მქონე პირებისგან, მოთხოვნილი იყო მხოლოდ განცხადება, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობის ასლი. დადგენილების პროექტის თანახმად, **საჭირო აღარ იქნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსგს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ გაცემული საინფორმაციო ბარათის წარმოდგენა.**

მოხსენების მიწურულს, თამარ ბერუაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე და **აქვე დასძინა,** რომ **დადგენილების პროექტის მეორე მუხლით დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. დავით ჩანქსელიანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეხუთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N713 განკარგულებაში ცვლილების შეტანას.**

როგორც მომხსენებელმა განმარტა, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, **ახლებური რედაქციით ჩამოყალიბდება ზემოაღნიშნული განკარგულების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასახლებული ტერიტორიის ჩამონათვალი, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირის, შპს „თბილსერვის ჯგუფის" მიერ ხორციელდება დაგვა-დასუფთავების, წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირებისა და მისი გაუვნებლობის მომსახურების ორგანიზება).**

მომხსენებლის განმარტებით, აღნიშნული ცვლილების განხორციელების საჭიროება განაპირობა დანართით გათვალისწინებული ქუჩების როგორც სახელწოდების, ასევე ფართობის დაზუსტებამ.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის მითითებისა და პრეამბულის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. თამაზ ალიბეგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეექვსე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილების** პირველი მუხლით დამტკიცებულ **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესში" (შემდგომში - „წესი") ცვლილების შეტანას.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, **წესის მე-4 მუხლის შემდეგ ემატება შემდეგი შინაარსის 4[1] მუხლი:**

„4[1] მუხლი. ავარიული სახლების ჩანაცვლებისას სამშენებლო სამუშაოების ღირებულების ჩამოწერა

1.პროექტის განმახორციელებელი, ჩანაცვლების ფარგლებში ახალი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის ფულადი სახით ანაზღაურების მიზნით გამოყოფილი ასიგნებებით შესყიდული სამშენებლო სამუშაოების ღირებულების ჩამოწერას განახორციელებს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. ავარიული სახლის ჩანაცვლების შედეგად წარმოშობილი მოძრავი ქონება, რომელიც მშენებლობის განმახორციელებელი სუბიექტის მიერ წარმოდგენილია პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტებით, ფინანსურ დოკუმენტაციაში აღრიცხვას ექვემდებარება პროექტის განმახორციელებლის მიერ.

3. ავარიული სახლის ჩანაცვლების შედეგად წარმოშობილი, საერთო სარგებლობის მოძრავი ქონების შესაბამისი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობისათვის გადაცემა/განკარგვა ხორციელდება პროექტის განმახორციელებლის მიმართვის საფუძველზე, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, როგორც მომხსენებელმა განმარტა, წესის 4[1] მუხლით განისაზღვრება ავარიული სახლების ჩანაცვლების სამუშაოების განხორციელების პერიოდში, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ფონდის მიერ შესყიდული სამუშაოების (რომელიც ფონდის ბალანსზე ფიქსირდება) ჩამოწერის საკითხი. ამასთანავე, წესში ემატება ავარიული სახლების ჩანაცვლების სამუშაოთა მიმდინარეობის პერიოდში შეძენილი/წარმოქმნილი/შექმნილი მოძრავი ქონების აღრიცხვასთან დაკავშირებით შესაბამისი მარეგულირებელი დებულება და განისაზღვრება პირი, რომელიც უზრუნველყოფს ავარიული სახლის ჩანაცვლების შედეგად წარმოშობილი, საერთო სარგებლობის მოძრავი ქონების შესაბამის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობისათვის გადაცემას/განკარგვას.

შესაბამისად, მომხსენებლის მითითებით, წარმოდგენილი ცვლილების მიზანია სამართლებრივად მოწესრიგდეს ავარიული სახლების ჩანაცვლების სამუშაოების განხორციელების პერიოდში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ფონდის მიერ შესყიდული სამშენებლო სამუშაოების (რომელიც ფონდის ბალანსზე ფიქსირდება) ჩამოწერის საკითხი.

მოხსენების მიწურულს, თამაზ ალიბეგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე და **აქვე დასძინა,** რომ **დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეშვიდე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა N36-ში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციისთვის" უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, 2025 წლის 30 აპრილს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა ა(ა)იპ „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციის" თავმჯდომარემ და ითხოვა ზემოაღნიშნული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა **2 წლის ვადით ა(ა)იპ „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციის" ფუნქციონირების მიზნით.**

სერგო ბირკაძის განმარტებით, აღნიშნულ ფართში ასოციაცია ახორციელებს ისეთ მომსახურებებს, რომლებიც **არ არის სახელმწიფო და მუნიციპალურ პროგრამებში და არის ასოციაციის შექმნილი თემის საჭიროებებზე დაყრდნობით. ეს მომსახურებებია: ოჯახების მხარდაჭერის ცენტრი, თვითადვოკატირების პროგრამა, დასაქმების მხარდაჭერის პროგრამა და დაუნის სინდრომის მქონე პირების სამედიცინო მეთვალყურეობა.**

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ აღნიშნული ფართების გადაცემის შემთხვევაში, შემდეგი 2 წლის განმავლობაში **დაგეგმილია თბილისში მცხოვრები ახალი თაობის 20-მდე დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდების გადამზადება თვითადვოკატებად, უკვე არსებული თვითადვოკატების ჩართულობით.** ასევე, იგეგმება დასაქმების მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც შექმნილია ორგანიზაციის გამოცდილებასა და პრაქტიკაზე დაყრდნობით, ვინაიდან დღემდე ურთულესი საკითხია ინტელექტუალი შშმ პირების დასაქმება. პროგრამა მოიცავს ოთხ საფეხურს, რომელიც დასაქმებასა და პროფესიულ ცხოვრებაში ხელშეწყობას ითვალისწინებს. **აღნიშნულ პროგრამაში ამჟამად ჩართულია თბილისში მცხოვრები 20 მოზარდი, რომლებიც პრაქტიკას გადიან სოციალურ საწარმოებში და სხვადასხვა მეგობარ კომპანიებში. შემდეგ წლებში ასევე იგეგმება 20-30 მოზარდის ჩართვა პროგრამაში და მინიმუმ 15 კომპანიის თანამშრომლის უსასყიდლოდ გადამზადება.**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- **უსასყიდლო უზუფრუქტის მოქმედების პერიოდი განისაზღვროს 2 (ორი) წლის ვადით;**
- **უსასყიდლო უზუფრუქტის მოქმედების პირობები განისაზღვროს წინამდებარე განკარგულების დანართის შესაბამისად.**

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურისა და მე-2 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მერვე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისში, ლადო გუდიაშვილის მოედანი N7/ბეგლარ ახოსპირელის ქ. N2-ში მდებარე გარკვეული ფართების, პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „დამოუკიდებელი კინო პროექტისთვის" თხოვების ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

მომხსენებლის განმარტებით, 2025 წლის მარტში წარმოებაში შევიდა 2024 წელს **სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების ქართულ-უცხოური ერთობლივი პროდუქციის წარმოების კონკურსის გამარჯვებული ფილმის პროექტი - „ახალგაზრდა სტალინი", რომლის რეჟისორია გელა ბაბლუანი.** აღნიშნული ფილმი წარმოადგენს ერთობლივ ნამუშევარს (co-production) კოპროდუქციას საქართველოს, ბრიტანეთის და ლატვიის ქვეყნებს შორის. **საქართველოს მხრიდან, პროექტი არის სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის და სსიპ - „აწარმოე საქართველოში" პროგრამის - „გადაიღე საქართველოში" - ბენეფიციარი. ბრიტანეთის მხრიდან პროექტში ჩართულია კომპანია „F&ME", ხოლო ლატვიის მხრიდან - კომპანია "NAFTA". პროექტს მიღებული აქვს ბრიტანეთის კინო ინსტიტუტის - „BFI" (British Film Institute) და ლატვიის ეროვნული კინოცენტრის დაფინანსება.** ამ ეტაპზე მიმდინარეობს ფილმის პროექტის წარმოებაზე მუშაობა და დაწყებულია წინა მოსამზადებელი პერიოდი. **ფილმის გადაღება იგეგმება თბილისსა და ლატვიაში, 2025 წლის ივნისიდან ოქტომბრის ჩათვლით.**

როგორც სერგო ბირკაძემ აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებებით მიმართა საპროდიუსერო კომპანიის - შპს „დამოუკიდებელი კინო პროექტის" დირექტორმა და ზემოაღნიშნული ფილმის გადასაღებად ითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზემოხსენებული ფართების სარგებლობის უფლებით გადაცემა 2025 წლის 1 ნოემბრამდე ვადით.

მომხსენებლისვე მითითებით, დაინტერესებული პირის მიერ ფილმის გადაღებისთვის საჭირო ფართები მომზადდება გადასაღებად, შესაბამისი სახით, ხოლო გადაღების შემდეგ განხორციელდება დემონტაჟი. ასევე უზრუნველყოფილი იქნება დროებით სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონების კომუნალური გამრიცხველიანება (ელექტროენერგიის და წყლის), რის თაობაზეც მოთხოვნილ იქნა შესაბამისი ნებართვა.

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, სსიპ - ქონების მართვის სააგენტო უზრუნველყოფს მოთხოვნილი უძრავი ქონების დაინტერესებული პირისთვის თხოვების ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 12 ივნისის N25.973.1087 განკარგულების დანართი N6-ით განსაზღვრული თხოვების პირობების შესაბამისად.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში გადასაცემი ქონების მიმღები იურიდიული პირის მითითების, ასევე მე-2 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეცხრე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, **სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „გრანდ თაუერს" შორის 2021 წლის 29 დეკემბერს გაფორმებულ** „ქ. თბილისში, იოანე პეტრიწის ქუჩის ბოლოს მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.06.001.263 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2010 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" **ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ, ხელშეკრულების 3.5 პუნქტით გათვალისწინებული, მშენებლობის დასრულების განსაზღვრული ვადის გახანგრძლივებას 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, **ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებმა/მათმა უფლებამონაცვლეებმა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 9 დეკემბრის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 დეკემბრის განკარგულებების დანართით განსაზღვრული **უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე.** ამასთანავე, **კომპანიის მიერ კოოპერატივის წევრებისთვის გადასაცემი საცხოვრებელი ფართის ჯამური ოდენობა შეადგენს 1750 კვ.მ-ს.**

სერგო ბირკაძის განმარტებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ოფიციალურ საიტზე (tas.ge) განთავსებული ინფორმაციის თანახმად, **კომპანიის მიერ საპროექტო მიწის ნაკვეთზე მოპოვებულია მშენებლობის ნებართვა არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 14 ივნისის ბრძანებით, რომლის მიხედვითაც, მშენებლობის ვადა განსაზღვრულია** 2023 წლის 14 ივნისიდან **2025 წლის 14 ივნისის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.**

მომხსენებლისვე მითითებით, კომპანიამ უზრუნველყო ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება კოოპერატივების წევრებისთვის განსაზღვრულ შესაბამის ინდივიდუალურ ფართებზე საჯარო რეესტრში მათი საკუთრების უფლების რეგისტრაციის ნაწილში და ხელშეკრულების 6.1.5 პუნქტის გათვალისწინებითა და სააგენტოს

2023 წლის 23 თებერვლის ბრძანებით **ნაწილობრივ დაუდასტურდა ვალდებულებების შესრულება და დაუბრუნდა შესაბამისი საბანკო გარანტიაც.** ამასთანავე, კომპანიამ სააგენტოს მიმართა 2025 წლის 23 მაისის განცხადებით და **მოითხოვა მშენებლობის დასრულების განსაზღვრული ვადის გახანგრძლივება არაუგვიანეს 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.** კომპანიის განმარტებით, **ფაქტობრივი მდგომარეობით, დასრულებულია 12 (თორმეტი) სართულიანი შენობა-ნაგებობის მონოლითური კარკასი და მისი გადახურვაც, კალენდარულ გეგმაში ცვლილება განაპირობა შენობაში (სართულებზე) წყლის მრიცხველების სამონტაჟო სამუშაოების წარმოების პროცესმა,** რის თაობაზეც კომპანია შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერისგან" ელის საბოლოო თანხმობას. კომპანია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხსენებული მრიცხველების მონტაჟის დასრულებამდე ვერ განხორციელდება შემდგომი შიდა მოპირკეთების სამუშაოები.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრების/მათი უფლებამონაცვლეების მიერ შექმნილმა ამხანაგობამ თანხმობა განაცხადა მშენებლობის დასრულებისათვის განსაზღვრული ვადის გახანგრძლივების (არაუგვიანეს 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) საკითხთან დაკავშირებით.

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შემაჯამებლად აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ მიზანშეწონილად მიიჩნია განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება. აღნიშნული რეკომენდაცია გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეათე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა (შემდგომში - „სააგენტო") და ია ოთარაშვილს შორის, 2021 წლის 14 აპრილს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-579-9-26137 ხელშეკრულების (შემდგომში - „ხელშეკრულება") „ბ" პუნქტით გათვალისწინებული პირობის - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, მიმდებარე არეალთან ერთად" გაუქმებას.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, დაინტერესებულმა პირმა 2024 წლის 27 სექტემბრის განცხადებით მიმართა სააგენტოს და მოითხოვა ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი და ქონებაზე არსებული სააუქციონო პირობის გაუქმება იმ საფუძვლით, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ **განაშენიანების რეგულირების გეგმის დასამუშავებელ არეალად განსაზღვრული N01.18.13.037.115 საკადასტრო ერთეულის თანამესაკუთრეებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტთან ერთად წარმოადგენდნენ ფიზიკური პირები, რომელთა ნებას არ წარმოადგენდა მყიდველის მიერ ქონების განვითარება, რის გამოც შეუძლებელი გახდა განაშენიანების რეგულირების გეგმაზე მუშაობა.**

ამასთანავე, სერგო ბირკაძის განმარტებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 5 დეკემბრის წერილით, დაინტერესებულ პირს ეცნობა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ შესაძლებლად მიიჩნია №01.18.13.037.029 საკადასტრო ერთეულის განვითარებაზე მსჯელობა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ფარგლებში სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) რეგლამენტით. **აღნიშნულ წერილზე არსებული დანართის თანახმად, საპროექტო არეალს წარმოადგენდა №01.18.13.037.029 საკადასტრო ერთეულის ნაწილი (დაახლოებითი ფართობი 10 594 კვ.მ).**

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 13 მარტის წერილით დაფიქსირებულ პოზიციაზე, რომლის თანახმად, **ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად იქნა მიჩნეული ზემოხსენებული პირობის გაუქმება.**

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 30 მაისის წერილის თანახმად, **ვინაიდან ქონების განკარგვის დროისათვის სამხარაულის მიერ მომზადებულ დასკვნაში დაფიქსირებულ მთლიან საბაზრო ღირებულებაში (188 700 ლარი) არ იყო გათვალისწინებული პირობა, მისი გაუქმება არ იწვევს ქონების საპრივატიზებო საფასურსა და სააუქციონო პირობის გარეშე ქონების საბაზრო ღირებულებას შორის სხვაობას.**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პრეამბულაში ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გასწორების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთერთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალმას" შორის 2020 წლის 18 ივნისს გაფორმებულ „ფეხით გადასასვლელი ხიდების მშენებლობის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის შესახებ" **ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანას, კერძოდ ხელშეკრულების დანართი №1-ის N13 და N15 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ხიდების ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების ვადად განისაზღვრება არაუგვიანეს 2026 წლის 30 ივნისი (ნაცვლად 2025 წლის 30 ივნისისა).**

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანიას სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაეცა ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონება, **მასზე 15 (თხუთმეტი) ერთეული ფეხით გადასასვლელი ხიდის მშენებლობის მიზნით.** ხელშეკრულების თანახმად, **კომპანიას ხელშეკრულების ფარგლებში დადგმულ ხიდებზე აქვს გარე რეკლამის განთავსების უფლება, რომელიც თითოეულ უძრავ ქონებაზე მოქმედებს მასზე ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებიდან (მაგრამ არაუმეტეს ამისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან) 25 (ოცდახუთი) წლის ვადით. ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის საფასური შეადგენს 2 000 ლარს, რაც კომპანიის მიერ გადახდილია.** ხელშეკრულებით კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის:

- **ხიდების მშენებლობის მიზნით, 10 000 000 (ათი მილიონი) ლარის ინვესტირება (4.1 პუნქტი);**
- **ნაგებობების მშენებლობის ნებართვის მოპოვება (საჭიროების შემთხვევაში, უძრავ ქონებაზე არსებული ხიდების დემონტაჟის ნებართვის ჩათვლით) ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებულ შესაბამის ვადებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (5.1.2 ქვეპუნქტი);**
- **საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უძრავ ქონებაზე ან მის მიმდებარედ არსებული ხიდების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დემონტაჟი, თითოეული და ყველა ნაგებობის მშენებლობის დასრულება ხელშეკრულების დანართი N1-ით გათვალისწინებულ შესაბამის ვადებში, ხოლო ექსპლუატაციაში მიღება - მათი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრულ შესაბამისი ვად(ებ)ის ამოწურვიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში (5.1.3 ქვეპუნქტი).**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სააგენტოში კომპანიის მიერ წარდგენილი **სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნებით დადასტურდა ხელშეკრულების დანართი №1-ის №11; №13 და №15 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქონებებზე კომპანიის მიერ ხიდების შესაბამის ვადებში განთავსება,** ხოლო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2024 წლის 30 აგვისტოს ბრძანებით, **№11 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ქონებაზე განხორციელდა მისი ექსპლუატაციაში მიღება.**

მომხსენებლის მითითებით, კომპანიამ, 2025 წლის 11 ივნისის წერილით აცნობა **სააგენტოს ხელშეკრულების დანართი №1-ის №13 და №15 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ხიდების**

ექსპლუატაციაში მიღების მიზნით სამუშაოების მიმდინარეობის დროს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაზე, რა დროსაც დაზიანდა აღნიშნული ხიდების ნაგებობები. აღნიშნული განცხადების თანახმად, **სფეროს სპეციალისტების ჩართულობით დაიწყო ხიდების დაზიანების შეფასების პროცესი და მათი აღდგენისთვის (დაზიანებების აღმოფხვრისთვის) გასატარებელი ღონისძიებების შემუშავება/განხორციელება.** თუმცა, **აღნიშნული პროცესის მიმდინარეობისას (დასრულებამდე) კვლავ არაერთხელ განმეორდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები და სავარაუდოდ არაგაბარიტული ტვირთის ტრანსპორტირებისას, შეჯახებების შედეგად ხიდის კონსტრუქციებმა დამატებითი დაზიანებები მიიღეს.** კომპანიის განმარტებით, დარგის სპეციალისტებისა და სამშენებლო-კონსტრუქციული სამუშაოების შემსრულებელი ორგანიზაციების შეფასების თანახმად, ხიდების კონსტრუქციების რეაბილიტაცია ადგილზე შეკეთებით შეუძლებელია და უნდა მოხდეს მათი სრული ან/და ნაწილობრივი დემონტაჟი, კონსტრუქციების საამქროში გადატანა, არსებითი კონსტრუქციული სამუშაოების წარმართვა და ხელახალი მონტაჟის განხორციელება.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევებისა და პრაქტიკაში გამოვლენილი რისკების გათვალისწინებით, **კომპანიამ, მიუხედავად დამატებითი ხარჯებისა, მიიღო გადაწყვეტილება განახორციელოს ხიდების კონსტრუქციების სიმაღლის გაზრდა ზედაპირიდან (ასფალტის საფარიდან) მალის ნაშენამდე არანაკლებ 5 მეტრამდე, რადგან შემცირებულ იქნეს სატრანსპორტო შემთხვევების რისკი.** შესაბამისად, **კომპანიამ მიმართა სააგენტოს ხელშეკრულების დანართი №1-ის N13 და N15 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ხიდების ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2026 წლის 30 ივნისი (ნაცვლად 2025 წლის 30 ივნისისა).**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების დანართით გათვალისწინებული შეთანხმების პირობების შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთორმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ნ.გ.ბ.-ს" შორის 2024 წლის 24 ივლისს გაფორმებული** „ქალაქ თბილისში შპს „ათორის" (ს/ნ: 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ მშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებული პირების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" **ხელშეკრულების 5.7.1 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის, ამავე ხელშეკრულების 8.1.3 პუნქტის**

შესაბამისად დაკისრებული, ჯამურად - 156 000 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოსგან შპს „ნ.გ.ბ.-ს“ გათავისუფლების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, საპრივატიზებო ქონებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, **ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა №36-ში და მის მიმდებარედ არსებული ჯამურად 16871 კვ.მ ფართობის მქონე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 3 (სამი) მიწის ნაკვეთი,** რომელიც პრივატიზების გზით, დაინტერესებულ პირს საკუთრებაში გადაეცა შესაბამისი სამშენებლო პროექტის განხორციელებისა და პროექტის ფარგლებში, უპირატესად **შპს „ათორის“ და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ მშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებული პირების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის მიზნით.**

სერგო ბირკაძის განმარტებით, დაინტერესებულ პირს ხელშეკრულების 5.7.1 პუნქტის შესაბამისად, **საპრივატიზებო ქონებაზე განაშენიანების რეგულირების გეგმა უნდა დაემტკიცებინა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 9 (ცხრა) თვისა.** ვინაიდან, **ხელშეკრულება გაფორმდა 2024 წლის 24 ივლისს,** შესაბამისად, დაინტერესებულ პირს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება უნდა განეხორციელებინა **არაუგვიანეს 2025 წლის 24 აპრილისა,** თუმცა, **საპრივატიზებო ქონებაზე განაშენიანების რეგულირების გეგმა დამტკიცდა 2025 წლის 20 მაისს, ხელშეკრულების 5.7.1 პუნქტით განსაზღვრული ვადის დარღვევით (26 დღის დაგვიანებით), რისთვისაც ხელშეკრულების 8.1.3 პუნქტის შესაბამისად, დაინტერესებულ პირს დაეკისრა პირგასამტეხლო, ჯამში - 156 000 ლარის ოდენობით.**

მომხსენებლისვე მითითებით, 2025 წლის 11 ივნისს, დაინტერესებული პირის მიერ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი წერილობითი განმარტების თანახმად, აღნიშნული დარღვევა გამოწვეული იყო მათგან დამოუკიდებელი მიზეზებით, კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ **საპრივატიზებო ქონებაზე და მის მიმდებარედ გაედინება არაერთი წყალსადენი მილი, რომელთა შესახებ ზუსტი ინფორმაციის დასადგენად წყალმომარაგების კომპანიას (შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“) დასჭირდა სამუშაოების ადგილზე ჩატარება (შურფირება), წყალმომარაგების კომპანიის მიერ პოზიციის მოწოდება გაჭიანურდა, რამაც ასევე შეაფერხა განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება.** მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, დაინტერესებულმა პირმა **ითხოვა ხელშეკრულების პირობის დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება.**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ხელშეკრულების 5.7.1 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის, ამავე ხელშეკრულების 8.1.3 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული, ჯამურად - 156 000 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოსგან შპს „ნ.გ.ბ.-ს“ გათავისუფლების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურში ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გასწორების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეცამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს თანხმობის მიცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის: **ქალაქ თბილისში, გიორგი აბაშვილის ქუჩა N9-ის მიმდებარედ არსებული 4 813 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და ქალაქ თბილისში, აბაშვილის ქუჩა N7-ის მიმდებარედ არსებული 343 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურის სახით - 52 141 ლარის ოდენობით პრივატიზებაზე, სალომე მამალაძის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, რაფაელ აგლაძის ქუჩა N8-ში 2 474 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში (შემდგომში - „სააგენტო") წარდგენილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წერილობითი პოზიციის თანახმად, ქალაქ თბილისში, კოსმონავტების სანაპიროზე და რაფაელ აგლაძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე განიხილება სარეკრეაციო სივრცის მოწყობა და სააგენტოს ეთხოვა აღნიშნული სარეკრეაციო სივრცის მოწყობის მიზნებიდან გამომდინარე კერძო საკუთრებაში არსებული უძრავ ქონებებთან მიმართებით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

მომხსენებლის განმარტებით, ვინაიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, **დედაქალაქის ტერიტორიაზე სარეკრეაციო სივრცეების შენარჩუნება და განვითარება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს, მაღალი საზოგადოებრივი და მუნიციპალური ინტერესებიდან გამომდინარე და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის შუამდგომლობის საფუძველზე,** სააგენტომ წერილობით მიმართა დაინტერესებულ პირს და მოითხოვა პოზიცია მის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, რაფაელ აგლაძის ქუჩა N8-ში მდებარე 2474 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის ადგილმონაცვლეობის საკითხთან დაკავშირებით, რაზეც დადებითი პოზიციის დაფიქსირების გათვალისწინებით, დაინტერესებული მხარისთვის შეთავაზებულ იქნა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზემოაღნიშნული უძრავი ქონება.

სერგო ბირკაძემ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 14 მარტის წერილის შესაბამისად, **ქალაქგეგმარებით თვალსაზრისით, შესაძლებლად იქნა მიჩნეული ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების ადგილმონაცვლეობა.**

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (შემდგომში: „ექსპერტიზის ბიურო“) 2024 წლის 23 დეკემბრის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ქალაქ თბილისში, გიორგი აბაშვილის ქუჩა N9-ის მიმდებარედ არსებული 4 813 კვ.მ. მიწის ნაკვეთის **საბაზრო ღირებულება 2024 წლის 23 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 3 985 164 ლარს**, ხოლო 2025 წლის 25 თებერვლის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ქალაქ თბილისში, აბაშვილის ქუჩა N7-ის მიმდებარედ არსებული 343 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის საბაზრო ღირებულება **2025 წლის 25 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგენს 314 835 ლარს.** ამასთანავე, ექსპერტიზის ბიუროს 2025 წლის 23 იანვრის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, **დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 23 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 4 247 858 ლარს.**

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ჯამური საბაზრო ღირებულება 52 141 ლარის ოდენობით აღემატება დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებას.** შესაბამისად, **მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრება 52 141 ლარი, რომლის გადახდაზეც წერილობითი თანხმობა განაცხადა დაინტერესებულმა პირმა.**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, **საზოგადოებრივი და მუნიციპალური ინტერესებიდან გამომდინარე,** მიზანშეწონილად მიიჩნია დაინტერესებული პირის თხოვნის დაკმაყოფილება მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული საპრივატიზებო საფასურით.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ მიზანშეწონილად მიიჩნია განკარგულების პროექტის სათაურსა და პირველ პუნქტში, ასევე განკარგულების პროექტის დანართით წარმოდგენილ ხელშეკრულების პროექტში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზები, პუნქტობრივი ნუმერაცია და ხელშეკრულების პროექტი ჩამოყალიბდეს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ წინამდებარე განკარგულების პროექტზე მომზადებულ დასკვნაზე თანდართული რედაქციის შესაბამისად. აღნიშნული რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთოთხმეტე საკითხად**

განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს თანხმობის მიცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის: **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში არსებული 966 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურის გარეშე პრივატიზებაზე, იოსებ ღაჭავას საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ყიფშიძის ქუჩაზე მდებარე 609 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, 2025 წლის 9 ივნისს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში, დაინტერესებული პირის წარმომადგენლის მიერ წარდგენილი განცხადების თანახმად, **დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ მოწყობილია საზოგადოებრივი სივრცე (სკვერი) და დამონტაჟებულია საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგვის ურნები, რის გამოც დაინტერესებულ პირს ეზღუდება მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გამოყენება. შესაბამისად, მოთხოვნილ იქნა ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების ადგილმონაცვლეობა.**

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 17 ივნისის დასკვნის შესაბამისად, **დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მთლიანმა საბაზრო ღირებულებამ 2025 წლის 17 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგინა 299 019 ლარი,** ხოლო **მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მთლიანმა საბაზრო ღირებულებამ 2025 წლის 17 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგინა 237 636 ლარი.** დაინტერესებული პირის წარმომადგენლის წერილობითი განცხადების თანახმად, **მის მარწმუნებელს ფასთა შორის სხვაობასთან დაკავშირებით არ ექნება არანაირი პრეტენზია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ.**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიიჩნია დაინტერესებული პირის თხოვნის დაკმაყოფილება მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს:

სერგო ბირკაძემ განკარგულების პროექტზე დანართის სახით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს **2025 წლის 19 ივნისის N16-01251701064** წერილით დაფიქსირებული პოზიციის გათვალისწინებით, **მიზანშეწონილია, ხელშეკრულების პროექტიდან ამოღებულ იქნას საპრივატიზებო პირობა: „N01.18.13.023.036 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის განკარგვა (გაცვლა) განხორციელდეს N01.18.13.023.045 საკადასტრო ერთეულთან სრულყოფილი მისასვლელი გზის უზრუნველყოფის პირობით“, იმ საფუძვლით, რომ აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე მდებარე, დაინტერესებული პირისთვის გადასაცემ მიწის ნაკვეთთან მისასვლელი გზის მოწყობა, ასეთის საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.18.13.023.047) საშუალებით.**

მომხსენებლის მიერ გაკეთებული განმარტების გათვალისწინებით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ხელშეკრულების პროექტიდან ამოღებულ იქნეს ზემოაღნიშნული საპრივატიზებო პირობა, რისთვისაც, **კომისია წინამდებარე განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნაზე დანართის სახით წარმოადგენს ხელშეკრულების პროექტის შესწორებულ ვერსიას.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთხუთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისში, ზურა ავალიშვილის ქ. N12-ში მდებარე 44 კვ.მ ფართობის N163 ბინის და 44 კვ.მ ფართობის N164 ბინის** მოქალაქე მაია ყიფშიძისთვის, გიორგი ყიფშიძისა და ზვიად ყიფშიძისთვის **პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად თანასაკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებლობის დასრულებით დაინტერესებულ პირთა საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, 2025 წლის 4 მარტს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას წერილობითი განცხადებით მიმართეს **ყიფშიძის ქ. N5ბ-ში რეგისტრირებული 122 კვ.მ. ფართის თანამესაკუთრებმა** - მაია ყიფშიძემ, გიორგი ყიფშიძემ და ზვიად ყიფშიძემ და აღნიშნული ქონების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ ითხოვეს ზემოაღნიშნული ფართების თანასაკუთრებაში გადაცემა.

სერგო ბირკაძის განმარტებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე უძრავ ქონებაში **1 კვ.მ. ფართის** (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, თეთრი კარკასის კონდინციით, **2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 3 903 ლარის ოდენობით.** შესაბამისად, **მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 476 166 ლარის ოდენობით.**

მომხსენებლის მითითებით, ასეთივე დაშვებებით, **2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით,** შეფასდა ის ფართებიც, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა დაინტერესებულ პირთათვის სანაცვლოდ გადასაცემად. კერძოდ, ზემოაღნიშნული ფართების **საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა 236 236 და 236 236 ლარის ოდენობით (ჯამურად: 472 472 ლარი).**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წინამდებარე განკარგულების პროექტის წარმოდგენა, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად დაინტერესებულ პირთათვის თანასაკუთრებაში გადაცემას და **საპრივატიზებო პირობის სახით - მათ ფართზე საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.**

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში საპრივატიზებო საფასურის სახით - სიმბოლური ფასის - 1 (ერთი) ლარის ერთ ერთეულ უძრავ ქონებასთან მიმართებით განსაზღვრის, ასევე წარმოდგენილი განკარგულების პროექტის ხელმომწერ პირად გიორგი ტყემალაძის ნაცვლად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ზურაბ აბაშიძის მითითების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთექვსმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისში, ზურა ავალიშვილის ქ. N12-ში (ბლოკი „ც“) მდებარე 61.90 კვ.მ ფართობის N166 ბინის** მოქალაქე ხათუნა ძამაშვილისთვის **პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებლობის დასრულებით დაინტერესებულ პირთა საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, 2025 წლის 19 მარტს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას წერილობითი განცხადებით მიმართა **ყიფშიძის ქ. N5ბ-ში რეგისტრირებული 85.1 კვ.მ ფართის მესაკუთრემ** - ხათუნა ძამაშვილმა და აღნიშნული ქონების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ ითხოვა ზემოაღნიშნული ფართის საკუთრებაში გადაცემა.

სერგო ბირკაძის განმარტებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე უძრავ ქონებაში **1 კვ.მ. ფართის** (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, თეთრი კარკასის კონდინციით, **2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 3 903 ლარის ოდენობით.** შესაბამისად, **მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 332 145.3 ლარის ოდენობით.**

მომხსენებლის მითითებით, ასეთივე დაშვებით, **2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით,** შეფასდა ის ფართიც, რომელიც გათვალისწინებულ იქნა დაინტერესებული პირისათვის სანაცვლოდ გადასაცემად. კერძოდ, ზემოაღნიშნული ფართის **საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 318 537 ლარის ოდენობით.** ამასთანავე, დაინტერესებულ პირს, მის მიერ წარმოდგენილი წერილობითი განცხადების თანახმად, **არ აქვს პრეტენზია ბინების საბაზრო ღირებულებებთან და მათ შორის არსებულ სხვაობასთან დაკავშირებით.**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წინამდებარე განკარგულების პროექტის წარმოდგენა, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად დაინტერესებული პირისათვის საკუთრებაში გადაცემას და **საპრივატიზებო პირობის სახით - მის ფართზე საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.**

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა წარმოდგენილი განკარგულების პროექტის ხელმომწერ პირად გიორგი ტყემალაძის ნაცვლად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ზურაბ აბაშიძის მითითების რეკომენდაციაზე, რაც გახიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეჩვიდმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისში, ზურა ავალიშვილის ქ. N12-ში მდებარე 84.40 კვ.მ ფართობის N180 ბინის** მოქალაქე თამარ ჯავახიშვილისთვის, ქურციკ ამირეჯიბისა და შალვა ამირეჯიბისთვის **პირდაპირი განკარგვის ფორმით, საპრივატიზებო საფასურით - 24 507 ლარად თანასაკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებლობის დასრულებით დაინტერესებულ პირთა საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, 2025 წლის 1 აპრილს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას წერილობითი განცხადებით მიმართეს **ყიფშიძის ქ. N5ბ-ში რეგისტრირებული 105 კვ.მ. ფართის თანამესაკუთრებმა** - თამარ ჯავახიშვილმა, ქურციკ ამირეჯიბმა და შალვა ამირეჯიბმა და აღნიშნული ქონების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ ითხოვეს ზემოაღნიშნული ფართის თანასაკუთრებაში გადაცემა.

სერგო ბირკაძის განმარტებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე უძრავ ქონებაში **1 კვ.მ. ფართის** (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, თეთრი კარკასის კონდინციით, **2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 3 903 ლარის ოდენობით.** შესაბამისად, **მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 409 815 ლარის ოდენობით.**

მომხსენებლის მითითებით, ასეთივე დაშვებით, **2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით,** შეფასდა ის ფართიც, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა დაინტერესებულ პირთათვის სანაცვლოდ გადასაცემად. კერძოდ, ზემოაღნიშნული ფართის **საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა 434 322 ლარის ოდენობით.**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წინამდებარე განკარგულების პროექტის წარმოდგენა, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, **უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობის ოდენობით (24 507 ლარი) განსაზღვრული საპრივატიზებო საფასურით,** დაინტერესებულ პირთათვის თანასაკუთრებაში გადაცემას და **საპრივატიზებო პირობის სახით - მათ ფართზე საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.**

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა წარმოდგენილი განკარგულების პროექტის ხელმომწერ პირად გიორგი ტყემალაძის ნაცვლად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ზურაბ აბაშიძის მითითების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთვრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N2-ში, შენობა N1-ში, მე-7 სართულზე არსებული 26.62 კვ.მ ფართობის N718 ბინის** პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად,** პრივატიზების გზით, მოქალაქე **მარიამ როსტიაშვილისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის

გაწევის თხოვნით მიმართა ნაძალადევის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, **დაინტერესებული პირი ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე 2012 წლიდან.** ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება ნაძალადევის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტითა და ბმა „სანზონა 2"-ის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირის **საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეცხრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში, პირველ სართულზე არსებული 17.71 კვ.მ ფართის** პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, პრივატიზების გზით,** მოქალაქე ზეინაბ ქოზამვილისთვის **საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა სამგორის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, **დაინტერესებული პირი ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე 2011 წლიდან.** ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება სამგორის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტითა და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა მონაცემთა ბაზაში დაინტერესებული პირი და მისი ოჯახის წევრები **რეგისტრირებულნი არ არიან;**
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირისა და მისი ოჯახის წევრების **საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეოცე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, მე-4 მიკრორაიონის კორპუს N29-ში, მე-9 სართულზე მდებარე 91.69 კვ.მ ფართობის N71 ბინის** პირდაპირი განკარგვის ფორმით, **პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად,** მოქალაქე ნანა ონიანისთვის **საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნულმა დაინტერესებულმა პირმა, მითითებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების მიზნით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა საბურთალოს რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, **დაინტერესებული პირი ოჯახის წევრებთან ერთად ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე 20 წლის განმავლობაში.** ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- აღსანიშნავია, რომ დაინტერესებული პირი არის მიწისძვრით დაზარალებული მედიკო ონიანის პირველი რიგის სამართალმემკვიდრე, რაც დასტურდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი ნოტარიულად დამოწმებული აქტებით.
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირისა და მისი ოჯახის წევრების **საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეერთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისში, ზესარიონ ქებურიას დასახლებაში, კორპუს N3-ში, პირველ სართულზე არსებული 40.63 კვ.მ ფართის** პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, პრივატიზების გზით,** მოქალაქე ზურაბი ბერიაშვილისთვის **საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა სამგორის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, **დაინტერესებული პირი ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე 2010 წლიდან.** ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება სამგორის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტითა და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირის **საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეორე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, მე-4 მიკრო/რაიონი N93ა-ში, პირველ სართულზე არსებული 63.44 კვ.მ ფართის** პირდაპირი განკარგვის ფორმით, **პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად,** მოქალაქე ნინო სოყურაშვილისთვის

საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნულმა დაინტერესებულმა პირმა, მითითებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების მიზნით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა გლდანის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, **დაინტერესებული პირი ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე 2007 წლიდან.** ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება გლდანის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტითა და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა მონაცემთა ბაზაში დაინტერესებული პირი და მისი ოჯახის წევრები **რეგისტრირებულნი არ არიან;**
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირისა და მისი ოჯახის წევრების **საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამესამე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N25-ში არსებული უძრავი ქონების (ჯამურად - 45.37 კვ.მ)** პირდაპირი განკარგვის ფორმით, **პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად,** მოქალაქე ანა კანოიანისთვის, ლაიდა და მეია ფოცხვერიებისთვის **საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

- **ანა კანოიანს გადაეცემა 21.76 კვ.მ ფართი, ხოლო ლაიდა და მეია ფოცხვერიებს კი - 23.61 კვ.მ ფართი.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ზემოაღნიშნულმა დაინტერესებულმა პირებმა დაკავებული ფართების პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართეს

კრწანისის რაიონის გამგეობას, ხოლო, აღნიშნული უწყების მიერ საკითხის შესწავლისას, გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, **ანა კანოიანი 2010 წლიდან, ხოლო ლაიდა და მეია ფოცხვერიები 1995 წლიდან ოჯახებთან ერთად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.** ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება კრწანისის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტებით და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებულ პირთა **საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეოთხე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი N261-ში არსებული 37.80 კვ.მ ფართობის N32 ბინის** პირდაპირი განკარგვის ფორმით, **პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად**, მოქალაქე ლევან ჩიტაურისთვის **საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა კრწანისის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, **დაინტერესებული პირი დაახლოებით 28 წელია, ოჯახთან ერთად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.** ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება კრწანისის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტითა და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირისა და მისი ოჯახის წევრების **საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

25. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეხუთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N75-79-ის მიმდებარედ არსებული 1074 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან **4 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით,** მოქალაქე იათამზე ვერულაშვილისთვის **იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, დაინტერესებულ პირს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2010 წლის 5 აგვისტოს ბრძანების საფუძველზე გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით, გადაცემული ჰქონდა 3 კვ.მ მიწის ნაკვეთი, კიბის უჯრედის მოწყობის მიზნით. აღნიშნული იჯარა ვადაგასულია.

სერგო ბირკაძემ ყურადღება გაამახვილა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმადაც, ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის **საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.**

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 2 მაისის დასკვნის თანახმად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, **2025 წლის 1 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 576 ლარის ოდენობით.**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა **შემდეგი პირობების გათვალისწინებით:**

- **იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;**
- **საიჯარო ქირის წლიური საფასური - 576 ლარი (ასევე იჯარის ვადის გასვლის დღიდან წინამდებარე განკარგულების პროექტით გათვალისწინებული ხელშეკრულების**

გაფორმებამდე პერიოდში იჯარის საგნით ფაქტობრივი სარგებლობის საფასურის ანაზღაურების ვალდებულების გათვალისწინებით).

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-3 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

26. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეექვსე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისში, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 86 კვ.მ და 66 კვ.მ მიწის ნაკვეთების შპს „თ და კ რესტორნებისთვის" განმეორებით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.**

როგორც მომხსენებელმა განმარტა, დაინტერესებული პირს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2020 წლის 28 იანვრისა და 2020 წლის 7 ივლისის ბრძანებების საფუძველზე, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთები იჯარით ჰქონდა გადაცემული 2025 წლის 25 იანვრამდე ვადით.

სერგო ბირკაძემ ყურადღება გაამახვილა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმადაც, ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის **საკითხს მიეცა დადებითი შეფასება იმ პირობით, რომ დაცული იქნება ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების და 34-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები.**

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 2 მაისის დასკვნის თანახმად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, **2025 წლის 1 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 45 600 ლარის ოდენობით.**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა **შემდეგი პირობების გათვალისწინებით:**

- **იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;**

- **საიჯარო ქირის წლიური საფასური - 45 600 ლარი (ასევე იჯარის ვადის გასვლის დღიდან წინამდებარე განკარგულების პროექტით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებამდე პერიოდში იჯარის საგნით ფაქტობრივი სარგებლობის საფასურის ანაზღაურების ვალდებულების გათვალისწინებით).**
-

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-3 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

27. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეშვიდე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, გვეტაძის ქუჩა N8-ის მიმდებარედ არსებული **6 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, კიბის ფუნქციონირების მიზნით,** მოქალაქე მალხაზ ცუცქირიძისთვის **იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

მომხსენებლის განმარტებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 2 თებერვლის ბრძანების საფუძველზე, მითითებული უძრავი ქონება დაინტერესებული პირის თანასაკუთრებაში არსებულ იურიდიულ პირს გადაცემული ჰქონდა სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 14 წლის ვადით, მის საკუთრებაში არსებულ ფართში შესასვლელი კიბის ფუნქციონირების მიზნით. მოცემულ მიწის ნაკვეთზე, დღევანდელი მდგომარეობით, მოწყობილია დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ ფართში შესასვლელი კიბე.

სერგო ბირკაძემ აქვე დასძინა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციების თანახმად, ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის **საკითხს მიეცა დადებითი შეფასება იმ პირობით, რომ დაცული იქნება ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ 35-ე მუხლის მოთხოვნები.**

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 2 მაისის დასკვნის თანახმად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, **2025 წლის 1 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 864 ლარის ოდენობით.**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა **შემდეგი პირობების გათვალისწინებით:**

- **იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;**
- **საიჯარო ქირის წლიური საფასური - 864 ლარი (ასევე იჯარის ვადის გასვლის დღიდან წინამდებარე განკარგულების პროექტით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებამდე პერიოდში იჯარის საგნით ფაქტობრივი სარგებლობის საფასურის ანაზღაურების ვალდებულების გათვალისწინებით).**

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-3 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

28. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამერვე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N18, კორპუსი N2-ის მიმდებარედ არსებული **5 კვ.მ მიწის ნაკვეთის** პირდაპირი განკარგვის წესით, **კიბისა და პანდუსის მოწყობის მიზნით,** მოქალაქე ემზარ ილურიძისთვის **იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

მომხსენებლის განმარტებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციების შესაბამისად, ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის **საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.**

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 2 მაისის დასკვნის თანახმად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, **2025 წლის 1 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 720 ლარის ოდენობით.**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა **შემდეგი პირობების გათვალისწინებით:**

- **იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;**
- **საიჯარო ქირის წლიური საფასური - 720 ლარი.**

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-3 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

29. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეცხრე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ანა კალანდაძის ქ. N16-ის მიმდებარედ არსებული **6 კვ.მ მიწის ნაკვეთის** პირდაპირი განკარგვის წესით, **კიბის და პანდუსის მოწყობის მიზნით,** მოქალაქე ნინო ხითარიშვილისთვის **იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმადაც, ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის **საკითხს მიეცა დადებითი შეფასება იმ პირობით, რომ დაცული იქნება ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" 35-ე მუხლით დადგენილი რეგულაციები.**

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 2 მაისის დასკვნის თანახმად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, **2025 წლის 1 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 864 ლარის ოდენობით.**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა **შემდეგი პირობების გათვალისწინებით:**

- **იჯარის მოქმედების ვადა - 2 წელი;**
- **საიჯარო ქირის წლიური საფასური - 864 ლარი.**

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-3 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

30. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეათე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზირი N31-41-ის მიმდებარედ არსებული 193 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან **10 კვ.მ მიწის ნაკვეთის** პირდაპირი განკარგვის წესით, **ღია კაფეს მოწყობის მიზნით,** ფაჰად აფზალისა და აიმა დანიელისთვის **იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოსა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციების თანახმად, ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის **საკითხს მიეცა დადებითი შეფასება იმ პირობით, რომ შენარჩუნდება 5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცე, ხოლო ობიექტის შემადგენელი ინვენტარი განთავსდება 5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცის მიღმა. ასევე დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე შესაძლებელია განთავსდეს მხოლოდ მსუბუქი მაგიდა და სკამები, ყოველგვარი შემომზღუდავი ელემენტების გარეშე.**

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 2 მაისის დასკვნის თანახმად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, **2025 წლის 1 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 2 400 ლარის ოდენობით.**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა **შემდეგი პირობების გათვალისწინებით:**

- **იჯარის მოქმედების ვადა - 2030 წლის 1 იანვრამდე;**
- **საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2 400 ლარი.**

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის, პირველი და მე-3 პუნქტების ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

31. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეთერთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, აბანოს ქუჩა N15/6-ში არსებული **1 კვ.მ მიწის ნაკვეთის** პირდაპირი განკარგვის წესით, **კონდიციონერის აგრეგატის განთავსების მიზნით,** მოქალაქე თამაზ ლონდარიძისთვის, **იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოსა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციების თანახმად, ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის **საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.**

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 27 მაისის დასკვნის თანახმად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, **2025 წლის 27 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 300 ლარის ოდენობით.**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა **შემდეგი პირობების გათვალისწინებით:**

- **იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;**
- **საიჯარო ქირის წლიური საფასური - 300 ლარი.**

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის, პირველი და მე-3 პუნქტების ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

32. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეთორმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, შარტავას ქუჩა N42-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან **3 კვ.მ მიწის ნაკვეთის** პირდაპირი განკარგვის ფორმით, **კიბის ფუნქციონირების მიზნით,** მოქალაქე მზია გაგოშიძისთვის **იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, დაინტერესებული პირი, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 13 მაისის ბრძანების საფუძველზე, 2024 წლის 20 ოქტომბრამდე, იჯარით ფორმით სარგებლობის უფლებით ფლობდა 6 კვ.მ მიწის ნაკვეთს, რომელზეც განთავსებულია ორი კიბე. მოცემულ შემთხვევაში, დაინტერესებული პირი თანხმობას აცხადებს განახორციელოს 6 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსებული ერთი კიბის დემონტაჟი.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმადაც, ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის **საკითხს მიეცა დადებითი შეფასება, არსებული კიბის დემონტაჟის განხორციელების რეკომენდაციის გათვალისწინებით.**

მომხსენებლისაგან მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 2 მაისის დასკვნის თანახმად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, **2025 წლის 1 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 432 ლარის ოდენობით.**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა **შემდეგი პირობების გათვალისწინებით:**

- **იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;**
- **საიჯარო ქირის წლიური საფასური - 432 ლარი (ასევე იჯარის ვადის გასვლის დღიდან წინამდებარე განკარგულების პროექტით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებამდე პერიოდში 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის ფაქტობრივი სარგებლობის საფასურის ანაზღაურების ვალდებულების გათვალისწინებით).**

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-3 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

33. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეცამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქ. N39-ის მიმდებარედ არსებული **21 კვ.მ მიწის ნაკვეთის** პირდაპირი განკარგვის წესით, **ღია კაფეს მოწყობის მიზნით,** შპს „კალა უბანი ჰოსფითალითისთვის" **იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოსა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციების თანახმად, ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის **საკითხს მიეცა დადებითი შეფასება, მხოლოდ მსუბუქი მაგიდების და სკამების განთავსების პირობით, ყოველგვარი შემომზღუდავი ელემენტების გარეშე.**

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 27 მაისის დასკვნის თანახმად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, **2025 წლის 27 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 6 300 ლარის ოდენობით.**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა **შემდეგი პირობების გათვალისწინებით:**

- **იჯარის მოქმედების ვადა - 2029 წლის 23 დეკემბრამდე;**
- **საიჯარო ქირის წლიური საფასური - 6 300 ლარი.**

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-3 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

34. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეთოთხმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N20-ის მიმდებარედ არსებული **22 კვ.მ მიწის ნაკვეთის** პირდაპირი განკარგვის წესით, **ღია კაფეს**

მოწყობის მიზნით, შპს „ღვინაძე და პარტნიორებისთვის“ **იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმადაც, ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის **საკითხს მიეცა დადებითი შეფასება იმ პირობით, რომ დაცული იქნება ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მოთხოვნები.**

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 27 მაისის დასკვნის თანახმად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, **2025 წლის 27 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 5 280 ლარის ოდენობით.**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა **შემდეგი პირობების გათვალისწინებით:**

- **იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;**
- **საიჯარო ქირის წლიური საფასური - 5 280 ლარი (ასევე იჯარის ვადის გასვლის დღიდან წინამდებარე განკარგულების პროექტით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებამდე პერიოდში იჯარის საგნით ფაქტობრივი სარგებლობის საფასურის ანაზღაურების ვალდებულების გათვალისწინებით).**

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-3 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

35. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეთხუთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N4-ში მდებარე **5 კვ.მ მიწის ნაკვეთის** პირდაპირი განკარგვის წესით, **კიბის ფუნქციონირების მიზნით,** შპს „4

პეკინისთვის“ **იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

მომხსენებლის განმარტებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციების თანახმად, ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის **საკითხს მიეცა დადებითი შეფასება იმ პირობით, რომ დაცული იქნება ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ 34-ე მუხლის მოთხოვნები.**

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 2 მაისის დასკვნის თანახმად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, **2025 წლის 1 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 720 ლარის ოდენობით.**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა **შემდეგი პირობების გათვალისწინებით:**

- **იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;**
- **საიჯარო ქირის წლიური საფასური - 720 ლარი (ასევე იჯარის ვადის გასვლის დღიდან წინამდებარე განკარგულების პროექტით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებამდე პერიოდში იჯარის საგნით ფაქტობრივი სარგებლობის საფასურის ანაზღაურების ვალდებულების გათვალისწინებით).**

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-3 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

36. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეთექვსმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, გრიგოლ რობაქიძის გამზირი N7გ-ში მდებარე **93 კვ.მ მიწის ნაკვეთის** პირდაპირი განკარგვის წესით, **პანდუსის მოწყობის მიზნით,** შპს „გრინ თაუნ დეველოპმენტისთვის“ **იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, დაინტერესებული პირის განმარტებით, იჯარით მოთხოვნილ მიწის ნაკვეთზე მოსაწყობი პანდუსი საერთო საზოგადოებრივი სარგებლობის ტროტუარს წარმოადგენს. იჯარით მიღების შემდგომ არ იქნება გამოყენებული მხოლოდ მიმდებარე მშენებარე ობიექტისთვის და იჯარის საგანი და მასზე მოწყობილი პანდუსი (ტროტუარი) გამიზნული იქნება საერთო საზოგადოებრივი სარგებლობისთვის, შეუზღუდავად. ამასთანავე, წარმოდგენილი პანდუსი (ტროტუარი) გათვალისწინებულია სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილ სამშენებლო ობიექტის პროექტში.

სერგო ბირკაძემ ყურადღება გაამახვილა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმად, ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის **საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.**

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 27 მაისის დასკვნის თანახმად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, **2025 წლის 27 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 11 160 ლარის ოდენობით.**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა **შემდეგი პირობების გათვალისწინებით:**

- **იჯარის მოქმედების ვადა - 2 წელი;**
- **საიჯარო ქირის წლიური საფასური - 11 160 ლარი.**

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-3 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

37. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეჩვიდმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, **მისამართზე - ქალაქი თბილისი, ალექსი გობრონიძის ქუჩა N17 და მიმდებარე ტერიტორიაზე**

არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 1747 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის **განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=3.5-დან კ-2=5.0-მდე, რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე 3 (სამი) სართულის დამატებასა და 11 (თერთმეტი) სართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას.** ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ნინო ბაგაშვილის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ -1). ამასთანავე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 4 ივნისის ბრძანებით (შესულია ცვლილება 2024 წლის 31 დეკემბრის ბრძანებით, საკადასტრო კოდის დაზუსტების მიზნით) **დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (კ-2=3.5),** ხოლო ქალაქ თბილის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 13 დეკემბრის ბრძანებით **გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (76%) განთავსების მიზნით.**

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, **საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 2 161 039 ლარს,** ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 25 აპრილის წერილის შესაბამისად, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 3.5-დან 5.0-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 926 159.58 ლარს.**

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პრეამბულაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 21 მაისის N25.833.946 განკარგულების სათაურის სწორი ფორმით მითითების, ასევე მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების

გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

38. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეთვრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, **მისამართზე - ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N194-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 17000 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

როგორც მომხსენებელმა განმარტა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის **განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.6-დან კ-2=4.7-მდე, რაც გულისხმობს კ-2 კოეფიციენტის 0.1-ით მატებას, ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ უკვე შეთანხმებულ 24 სართულიან (ოცდაოთხი) შენობას სართული არ დაემატება.** ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

მომხსენებლისვე მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, **საპროექტო მიწის ნაკვეთის ძირითად ნაწილზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).** ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 11 თებერვლის განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 თებერვლის N60 განკარგულებით **დამტკიცებულია მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი (კ-2=4.6),** ხოლო სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 2 მაისის ბრძანებით **შეთანხმებულია მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტი (კ-2=4.6) და გაცემულია მშენებლობის ნებართვა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)-ის პარამეტრებით.**

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, **საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 28 იანვრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 23 311 434 ლარს,** ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 19 მარტის წერილის თანახმად, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 4.6-დან 4.7-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 506 770.31 ლარს.**

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პრეამბულაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 21 მაისის N25.836.943 განკარგულების სათაურის სწორად მითითების, ასევე პირველი და მე-5 პუნქტების ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

39. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეცხრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, **მისამართზე - ქალაქი თბილისი, აკაკი ვასაძის ქუჩა N4-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 2 680 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის **განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=5.0-დან კ-2=5.8-მდე, რაც გულისხმობს 11 (თერთმეტ) სართულიანი შენობის განთავსებას.** ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ნინო ბაგაშვილის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6),** ხოლო გამწვანებული ტერიტორიების რუკის თანახმად, **საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე ასევე ვრცელდება ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება.** ამასთანავე, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 9 აგვისტოს ბრძანებით **დამტკიცებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (კ-2=2.5).**

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების პირველი მუხლის „ბ" პუნქტით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის" 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის თანახმად, დანართი 1.11-ით განსაზღვრულ **ვარკეთილის მასივის „B1" არეალზე სამშენებლო განვითარება დასაშვებია შემდეგი პირობების გათვალისწინებით: განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვრება არაუმეტეს კ-2=5.0.** შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე სსიპ - ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 10 ივლისის ბრძანებით შეთანხმებულია **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი (კ-2=5.0) და ამავე სამსახურის 2024 წლის 24 ივლისის ბრძანებით გაცემულია მშენებლობის ნებართვა.**

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, **საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 29 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 4 822 832 ლარს,** ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 3 ივნისის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის **ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 5.0-დან 5.8-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 771 653.12 ლარს.**

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ დაინტერესება გამოხატა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების პირველი მუხლის „ბ" პუნქტით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის" 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, **ვარკეთილის მასივის „B1" არეალისთვის განსაზღვრული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) არაუმეტეს კ-2=5.0 ხომ არ ზღუდავს დაინტერესებული პირის მიერ განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების მოთხოვნის შესაძლებლობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების შესაბამისად.**

ნინო ბაგაშვილის განმარტებით, ვინაიდან ვარკეთილის მასივი წარმოადგენს არეალს, რომლისთვისაც გათვალისწინებულია სამშენებლო განვითარების განსაკუთრებული პირობები, აღნიშნულ არეალში განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) ნორმატიული მაჩვენებლის სახით დადგენილია არაუმეტეს 5.0, როგორც ეს განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით გათვალისწინებული ფუნქციური ზონებისთვის დადგენილი განაშენიანების რეგულირების პარამეტრების შემთხვევაში. შესაბამისად, აღნიშნული არ გამორიცხავს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებას ერთჯერადად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ნინო ვარდოსანიძემ ასევე ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

40. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეორმოცე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, **მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის N109-ში მდებარე მიწის ნაკვეთებთან (ფართობი - ჯამურად 17 600 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

როგორც მომხსენებელმა განმარტა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის **განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=3.0-დან კ-2=4.6-მდე, რაც გულისხმობს N1 და N3 შენობებზე სართულების დამატებასა და ორი 30-31 (ოცდაათი-ოცდათერთმეტი) სართულიანი შენობების განთავსებას.** ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. ამასთანავე, დაინტერესებული პირის მიერ დაფიქსირებული პოზიციის თანახმად, **საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) ნაწილში N2 შენობა (36 სართული) სრულად ითვისებს კ-2 კოეფიციენტს, ხოლო კ-2 კოეფიციენტის გადამეტების შემთხვევაში, კოეფიციენტის ასათვისებლად სართულიანობა გაიზრდება მხოლოდ N1 და N3 შენობებზე.**

ნინო ბაგაშვილმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 29 ნოემბრის განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 დეკემბრის N690 განკარგულებით, **საპროექტო საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი, რომლის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელდება: საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) - (ფართობით 11 375 კვ.მ); საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) (ფართობით: 6 171 კვ.მ); სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) (ფართობით: 54 კვ.მ).** აღნიშნული განკარგულებით, **დაგეგმილია სამი შენობის განთავსება, მიწის ნაკვეთების საზღვრების ცვლილება ფართის უცვლელად და 2 საკადასტრო ერთეულის გაერთიანება.**

მომხსენებლისვე მითითებით, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, **საპროექტო მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულება 2025 წლის 5 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგენს 12 855 000 და 2 228 200 ლარს,** ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 4 ივნისის წერილის შესაბამისად, **საპროექტო მიწის ნაკვეთებზე გასაშუალოებული კ-2 კოეფიციენტის 3.0-დან 4.6-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 6 856 000.00 და 1 188 373.34 ლარს**

(ჯამურად - 8 044 373.34 ლარს). აღნიშნული დათვლა მიღებულია იმ დაშვებით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 დეკემბრის N690 განკარგულებით დამტკიცებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის შესაბამისად:

- **დაგეგმილია მიწის ნაკვეთების საზღვრების ცვლილება ფართის უცვლელად და 2 საკადასტრო ერთეულის გაერთიანება;**
- **საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელდება: საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5); საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2); სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).**

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთებთან მიმართებით, ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

ზურაბ აბაშიძემ დაინტერესება გამოხატა საპროექტო მიწის ნაკვეთებზე გასაშუალოებული კ-2 კოეფიციენტის სახით 3.0-ის განსაზღვრის მართებულობასთან დაკავშირებით.

როგორც ნინო ბაგაშვილმა განმარტა, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება არსობრივად მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების პირობების ანალოგიურია, რომლის ფარგლებშიც, დათქმის საფუძველზე ხდება განაშენიანების რეგულირების სავარაუდო პარამეტრების განსაზღვრა. აქედან გამომდინარე, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების გარეშე, დაინტერესებული პირი ვერ შეძლებს მიწის ნაკვეთის აღნიშნული პარამეტრების შესაბამისად სამშენებლო განვითარებას.

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

41. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ორმოცდამეერთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, **მისამართზე - ქალაქი თბილისი, ელგუჯა ამაშუკელის შესახვევი N11; ქალაქი თბილისი,**

ნუცუბიძის ფერდობი, მე-2 მიკრორაიონი, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარე ტერიტორია; ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობის IV მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 2394 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის **განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.4-მდე, რაც გულისხმობს 2 (ორი) სართულის დამატებასა და 10 (ათი) სართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას.** ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ნინო ბაგაშვილის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).** ამასთანავე, **სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 18 აპრილის ბრძანებით (ცვლილება შესულია 2024 წლის 12 ივლისის ბრძანებით) დადგენილია მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (კ-2=2.5).**

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, **საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 5 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 2 947 014 ლარს,** ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 13 მაისის წერილის შესაბამისად, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.4-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 1 060 925.04 ლარს.**

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პრეამბულაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 21 მაისის N25.832.947 განკარგულების სათაურის სწორი ფორმით მითითების, ასევე მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების

გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

42. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ორმოცდამეორე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, **მისამართზე - ქალაქი თბილისი, შეშელიძის ქუჩა N18-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 9 377 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

მომხსენებლის განმარტებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის **განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.6-დან კ-2=4.7-მდე, რაც გულისხმობს 1 (ერთი) სართულის დამატებასა და ჯამში 27 (ოცდაშვიდ) სართულიანი შენობების განთავსებას.** ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ნინო ბაგაშვილმა აქვე დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).** ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 4 აგვისტოს განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 აგვისტოს N380 განკარგულებით **დამტკიცებულია მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი (კ-2=4.6),** ხოლო სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის პირველი აგვისტოს ბრძანებით **შეთანხმებულია მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი (კ-2=4.6) და ამავე სამსახურის 2023 წლის 11 ოქტომბრის ბრძანებით გაცემულია მშენებლობის ნებართვა.**

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, **საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 2 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 13 690 420 ლარს,** ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 9 ივნისის წერილის თანახმად, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 4.6-დან 4.7-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 297 617.83 ლარს.**

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

43. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ორმოცდამესამე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, **მისამართზე - ქალაქი თბილისი, ელენე ვირსალაძის I ჩიხი N3, N3ა, N3-ის მიმდებარედ, N1, N1ა, ელენე ვირსალაძის ქუჩა N8, N8ა, N12, N12-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 3 342 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

მომხსენებლის განმარტებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის **განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.3-მდე, რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე 3 (სამი) მიწისზედა სართულის დამატებასა და 12 (თორმეტი) სართულიანი შენობის განთავსებას.** ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ნინო ბაგაშვილმა აქვე დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). ამასთანავე,** საპროექტო მიწის ნაკვეთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 ივლისის ბრძანებით **დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (კ2=2.5), ხოლო ამავე სამსახურის 2025 წლის 12 მარტის ბრძანებით შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი (კ-2=2.5) და გაცემულია მშენებლობის ნებართვა.**

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, **საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 15 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 3 053 314 (სამი მილიონ ორმოცდაცამეტი ათას სამას თოთხმეტი) ლარს,** ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 30 მაისის წერილის თანახმად, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.3-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 977 060.48 ლარს.**

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

44. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით. **რიგით ორმოცდამეოთხე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, **მისამართზე - ქალაქი თბილისი, გიორგი მდივანის ქუჩა N20-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 22 091.00 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის **განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=3.5-დან კ-2=4.0-მდე, რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე 2-2 (ორ-ორი) სართულის დამატებასა და 20 (ოცი) სართულიანი შენობების განთავსებას**. ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ნინო ბაგაშვილის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, **საპროექტო მიწის ნაკვეთის ძირითად ნაწილზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), მცირე ნაწილზე - სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).** ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 4 მაისის განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის N206 განკარგულებით **დამტკიცებულია მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების**

რეგულირების გეგმის პროექტი, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 19 მარტის განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 21 მარტის N97 განკარგულებით **დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი.** ასევე სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 13 სექტემბრის გრძანებით **შეთანხმებულია მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი (კ-2=3.5) და გაცემულია მშენებლობის ნებართვა.**

ნინო ბაგაშვილმა აქვე ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 11 სექტემბრის განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 13 სექტემბრის N461 განკარგულებით **თანხმობა მიეცა საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2=3.5-დან კ-2=4.0-მდე გადამეტებას, თუმცა დაინტერესებული პირის მიერ 6 თვის ვადაში არ განხორციელდა კ-2 კოეფიციენტის გადამეტების საფასურის გადახდა.**

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, **საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 2 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 17 562 345 ლარს,** ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 13 ივნისის წერილის თანახმად, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 3.5-დან 4.0-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 2 508 906.43 ლარს.**

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-6 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

45. ნინო ვარდოსანიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ორმოცდამეხუთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

მთავრობისათვის თანხმობის მიცემას: მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1 და შარტავას ქ. N3 ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულებისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულებები: N20.1151.1427, 30.09.2020; N21.1207.1365, 3.09.2021; N23.828.918, 08.06.2023) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებული (განკარგულებები: N274, 1.10.2020; N402, 7.09.2021; N269, 09.06.2023) ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში:

ა) **მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1 და შარტავას ქ. N3 ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის უძრავი ქონებების/ინდივიდუალური ფართების საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით:**

ა.ა) **მისამართზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1 მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული ინდივიდუალური ფართების ნაწილი (საცხოვრებელი, კომერციული, ავტოსადგომი), საკუთრებაში გადაეცეს დაზარალებულ პირთა ნაწილს, წინამდებარე განკარგულების დანართი N1-ის შესაბამისად;**

ა.ბ) **მისამართზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1 მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, წინამდებარე განკარგულების დანართი N2-ით განსაზღვრული ინდივიდუალური ფართები განაწილდეს ამავე განკარგულების დანართი N3-ით გათვალისწინებულ, ყოფილი ინდივიდუალური ბინათმშენებლობათა ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88"-ის დაზარალებულ პირებზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების (N269, 09.06.2023) მიხედვით, მათ მიმართ ფართის სახით გასაცემი ვალდებულების შესაბამისად;**

ა.გ) დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს** წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის „ა.ა" და „ა.ბ" ქვეპუნქტების შესაბამისად, **ამავე განკარგულების დანართი N1-ითა და დანართი N3-ით გათვალისწინებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით გაუფორმოს ხელშეკრულება ამავე განკარგულების დანართი N5-ით გათვალისწინებული წესებისა და პირობების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში;**

ა.დ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაეცემა განხორციელდეს, „პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულების საფუძველზე,** საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრში ეროვნულ სააგენტოში უძრავი ქონება დარეგისტრირდება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების პირობით;

ბ) **მისამართზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 წინამდებარე განკარგულების დანართი N4 -ით განსაზღვრული, მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული ფართები საკუთრებაში გადაეცეს ამავე დანართით განსაზღვრულ ფიზიკურ პირებს; ხოლო, ამ განკარგულების დანართი N2-ით განსაზღვრული ინდივიდუალური ფართები განაწილდეს ამავე განკარგულების დანართი N3-ით გათვალისწინებულ, ყოფილი ინდივიდუალური ბინათმშენებლობათა ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88"-ის დაზარალებულ პირებზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების (N269, 09.06.2023) მიხედვით, მათ მიმართ ფართის სახით გასაცემი ვალდებულების შესაბამისად;**

ბ.ა) დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს** წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, **ამავე განკარგულების დანართი N4-ით გათვალისწინებულ ფიზიკურ პირებს პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით გაუფორმოს ხელშეკრულება ამავე განკარგულების დანართი N6-ით გათვალისწინებული წესებისა და პირობების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში;**

ბ.ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემა განხორციელდეს, „პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულების საფუძველზე,** საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან.

გ) დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ჟიულო შარტავას ქუჩა N1 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის N7190231, 21.08.2024 და N7336107, 27.12.2024 ბრძანებებით გაცემული მშენებლობის ნებართვის შესაბამისად, **დამტკიცებული და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული, ინდივიდუალური ფართების განაწილების სქემის (ე.წ „განშლის") მიხედვით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ფართებზე (გარდა ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის „ა.ა" და „ა.ბ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული ქონებისა), რეგისტრირებული** (უძრავი ქონების საჯარო რეესტრში განცხადების რეგისტრაციის N882021711388, თარიღი 24/08/2021; განცხადების რეგისტრაციის N892024640918 თარიღი 23/10/2024) **ვალდებულებების რეგისტრაციის გაუქმება, აღნიშნულ ქონებაზე წინამდებარე განკარგულების „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების რეგისტრაციის შემდგომ.**

დ) წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების განკარგვის შემთხვევაში, **ქონების განმკარგავი ვალდებულია ქონების ახალ მესაკუთრესთან გასაფორმებელი ხელშეკრულების არსებით პირობად განსაზღვროს ქონების ახალი მესაკუთრის უპირობო, წინასწარი გამოუხმობადი თანხმობა:**

დ.ა) **შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" ან/და მის მიერ განსაზღვრული შესაბამისი პირ(ებ)ის მიერ შეთანხმებული პროექტის კორექტირებასთან/მშენებლობის ნებართვის ცვლილებასთან/ინდივიდუალური ფართების განაწილებაში ცვლილებასთან და მათ საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებით;**

დ.ბ) **თავისი ქმედებით ან უმოქმედობით ხელი არ შეუშალონ (არ შეაფერხონ) ქალაქ თბილისში, ჟიულო შარტავას ქუჩა N1-ში მდებარე უძრავ ქონებებზე გათვალისწინებული სამშენებლო პროექტის განხორციელებას არცერთ ეტაპზე, მათ შორის, მშენებლობის ნებართვის გაგრძელების, მშენებლობის განხორციელების, ექსპლუატაციაში მიღების, ასევე, აღნიშნული სამშენებლო პროექტის ფარგლებში, ადმინისტრაციულ ორგანოებთან ან/და სხვა შესაბამის უწყებებთან კომუნიკაციის პროცესში. ასევე, აცხადებენ თანხმობას ხელი შეუწყონ მითითებული სამშენებლო პროექტის განხორციელებას, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი თანხმობ(ებ)ის გაცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტზე ხელმოწერის განხორციელების გზით.**

დ.გ) ქონების ახალი შემძენის მიერ ქონების შემდგომი განკარგვის შემთხვევაში, ყოველ მომდევნო მესაკუთრესთან გასაფორმებელი ხელშეკრულების არსებით პირობად განისაზღვროს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობები.

დ.დ) წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტის „დ.ა" და „დ.გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობები რეგისტრირებული რჩება ამ განკარგულების პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ქონებაზე, საჯარო რეესტრში უძრავი ქონების ამონაწერის ვალდებულების გრაფაში.

ე) წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ქონებაზე, ამავე განკარგულების პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება უნდა დარეგისტრირდეს, საჯარო რეესტრში უძრავი ქონების ამონაწერის ვალდებულების გრაფაში.

კომისიის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა იმ სამართლებრივ გარემოებებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მომზადებას და აღნიშნა, რომ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველმა კომისიამ (შემდგომში - „კომისია")** 2025 წლის 2 ივნისის სხდომაზე განიხილა მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1 და შარტავას ქ. N3 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის გასატარებელი ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის უძრავი ქონების/ინდივიდუალური ფართების საკუთრებაში გადაცემისა და მისამართზე - ქალაქი თბილისი, ჟიული შარტავას ქუჩა N1 რეგისტრირებული ვალდებულების გაუქმების საკითხი.

ნინო ვარდოსანიძის განმარტებით, კომისიის მიერ საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების და დაზარალებულ პირთა (მათ შორის ყოფილი ინდივიდუალური ბინათმშენებლობათა ამხანაგობა - „თაბუკაშვილი" 88-ის დაზარალებული პირები) მიმართ ფართის და თანხის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულების მიზნით, **კომისიამ (ოქმი N7, 21.09.2020; ოქმი N21, 1.09.2021; ოქმი N8, 07.06.2023) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1 და შარტავას ქუჩა N3 - მდებარე სამშენებლო ობიექტებთან მიმართებაში, შესაბამის ხელშემწყობ ღონისძიებებთან დაკავშირებით**. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ეს გადაწყვეტილებები (განკარგულებები: N20.1151.1427, 30.09.2020; N21.1207.1365, 3.09.2021; 23.828.918, 08.06.2023) შეთანხმდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან (განკარგულებები: N274, 1.10.2020; N402, 7.09.2021; N269, 09.06.2023).
- აღნიშნული ხელშემწყობი ღონისძიებების შეუფერხებლად გატარების მიზნით, მისამართებზე: ქალაქ თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N1-ში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი (ფართი: 2 184 კვ.მ) და ქალაქ თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N3-ში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი (ფართი: 8 351 კვ.მ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით (განკარგულება N21.1141.1285, 18.08.2021) გადაეცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს. ამასთან, საჯარო რეესტრის

ეროვნულ სააგენტოში, მისამართზე - ქალაქ თბილისი, ჟიული შარტავას ქუჩა N3 რეგისტრირებული ინდივიდუალური საკუთრების უფლებები დარჩა უცვლელი.

- რამდენადაც, დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულება ხორციელდება უშუალოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით, დაზარალებულ პირთა ინტერესების გათვალისწინებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით, მიიღო გადაწყვეტილება ქალაქ თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N1-ში განსაზღვრული უძრავი ქონების ფარგლებში, მშენებლობის ნებართვის გაცემამდე და ინდივიდუალური საკუთრების უფლების რეგისტრაციამდე, დაზარალებულ პირებისთვის საკუთრებაში გადაეცა (მათი მოთხოვნის შესაბამისად), მათ მიმართ გადასაცემი ფართების შესაბამისი მიწის წილი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება N402, 07.09.2021). შესაბამისად, მიწა გახდა დაზარალებული პირების და თბილისის მუნიციპალიტეტის თანასაკუთრება.
- ზემოაღნიშნული განკარგულებებით განსაზღვრული პირობებისა და წესის შესაბამისად, დაზარალებული პირებისთვის ფართის სახით გადასაცემი ვალდებულებების შესრულების მიზნით განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები.

მოხსენების მიწურულს, ნინო ვარდოსანიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულისა და **კომისიის დადებითი რეკომენდაციის** გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიიჩნია, მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1 და შარტავას ქ. N3 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის გასატარებელი ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის უძრავი ქონების/ინდივიდუალური ფართების საკუთრებაში გადაცემა და მისამართზე - ქალაქი თბილისი, ჟიული შარტავას ქუჩა N1 რეგისტრირებული ვალდებულების გაუქმება.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაურში, პრეამბულაში, პირველ და მე-2 პუნქტებში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზები და განკარგულების პროექტი ჩამოყალიბდეს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ წინამდებარე განკარგულების პროექტზე მომზადებულ დასკვნაზე თანდართული რედაქციის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

46. ნინო ვარდოსანიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ორმოცდამეექვსე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემას:

- **მისამართზე - ქ. თბილისი, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულების მიზნით, შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსის" მიმართ,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (N20.1004.1254, 03.09.2020; N21.1098.1237; 05.08.2021; N21.1608.1794, 18.11.2021) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (განკარგულებები: N235, 08.09.2020; N363, 06.08.2021; N550, 19.11.2021) **მხარდამჭერი (მათ შორის, დამატებითი/დაზუსტებითი) ღონისძიებების გაუქმებაზე;**
- „ქ. თბილისში, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის (ს/კ: N01.18.06.018.052) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსის" (ს/ნ 405159340) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 სექტემბრის N235 განკარგულების**, „ქ. თბილისში, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის (ს/კ: N01.18.06.018.052) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსის" (ს/ნ 405159340) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 ავგისტოს N363 განკარგულებისა** და „ქ. თბილისში, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის (ს/კ: N01.18.06.018.052) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსის" (ს/ნ 405159340) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 ნოემბრის N550 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებაზე.**

როგორც კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველმა კომისიამ (შემდგომში - „კომისია") 2025 წლის 3 ივნისის სხდომაზე განიხილა მისამართზე - ქ. თბილისი, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის - არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის დაინტერესებული პირის - შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსის" მიმართ გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმების საკითხი. საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- კომისიამ 2020 წლის 21 ივლისის N5 ოქმით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია მისამართზე - ქ. თბილისი, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისათვის შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსის" მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის ფარგლებში მხარდამჭერ ღონისძიებებთან დაკავშირებით. აღნიშნული მხარდამჭერი ღონისძიებები დაამტკიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ (განკარგულება N20.1004.1254, 03.09.2020) და შეითანხმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ (განკარგულება N235, 08.09.2020).
- შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსის" მიერ წარმოდგენილი დამატებითი განცხადებისა და დოკუმენტაციის საფუძველზე, კომისიამ წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ. აღნიშნული დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი

ღონისძიებები დაამტკიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ (განკარგულებები: N21.1098.1237; 05.08.2021; N21.1608.1794, 18.11.2021 და შეითანხმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ (განკარგულებები: N363, 06.08.2021; N550, 19.11.2021).

- **ზემოაღნიშნული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში განისაზღვრა ამ ღონისძიებების გამოყენების წესები და პირობები; მათ შორის, ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში შემუშავებული და დამტკიცებული არქიტექტურული პროექტის შესაბამისად, სარეალიზაციო ფართების განკარგვა და უფლებრივად დატვირთვა (მათ შორის, იპოთეკა) დასაშვები იყო შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსის" მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე კომისიის მიერ დადასტურებული, დაზარალებულთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის საჭირო, შესაბამისი სამშენებლო ფართის მშენებლობის დასრულების შემდეგ. ამასთან, დაინტერესებულ პირს შეეძლო მხოლოდ იმ სარეალიზაციო (თავისუფალი) ფართების განკარგვა/უფლებრივად დატვირთვა, რომელსაც ააშენებდა და მიიყვანდა არანაკლებ კარკასულ მდგომარეობაში.**
- ამასთანავე, მისამართზე - ქ. თბილისი, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით, **სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ეთხოვა დაინტერესებულ პირთან გაეფორმებინა პრივატიზების ხელშეკრულება ზემოთაღნიშნულ შეზღუდვებთან დაკავშირებით, რაც უნდა დარეგისტრირებულიყო სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, უძრავი ქონებების ამონაწერის შესაბამის გრაფაში ვალდებულების სახით.**
- დაინტერესებულ პირს - შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსს" - **სარეალიზაციო ფართების განკარგვა უნდა მოეხდინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით.** ასევე, დაევალა შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსს" სამშენებლო ობიექტზე, თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსება, სადაც ასახული იქნებოდა ზემოაღნიშნული შეზღუდვა ქონების განკარგვასთან დაკავშირებით.

ნინო ვარდოსანიძის განმარტებით, დაინტერესებულმა პირმა **შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსმა" ვერ შეასრულა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული** (განკარგულებები: N20.1004.1254, 03.09.2020; N21.1098.1237; 05.08.2021; N21.1608.1794, 18.11.2021) **და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული** (განკარგულებები: N235, 08.09.2020; N363, 06.08.2021; N550, 19.11.2021) **ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებები.** ამასთანავე, 2024 წელს მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე, შესაბამისმა საგამოძიებო სამსახურებმა დაიწყეს მოკვლევა მისამართზე - ქ. თბილისი, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში, შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსთან" მიმართებით, **ხოლო თბილისის პროკურატურის 2025 წლის 25 მარტის წერილობითი განმარტების თანახმად, შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსის" დამფუძნებლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე** და მისამართზე - ქ. თბილისი, კრწანისის I ჩიხი, N2ა-ში - შპს „ვენა დეველოპმენტის" მიერ დაზარალებულ პირთა დადგენის მიზნით **ამ ეტაპზე მიმდინარეობს გამოძიება.**

მოხსენების მიწურულს, ნინო ვარდოსანიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულისა და **კომისიის დადებითი რეკომენდაციის** გათვალისწინებით, ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიიჩნია, მისამართზე - ქ. თბილისი, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის - არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის დაინტერესებული პირის - შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსის" მიმართ გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი განკარგულებების ძალადაკარგულად გამოცხადება.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პრეამბულაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 13 ივნისის N25.991.1104 განკარგულების სათაურის სწორად მითითების, ასევე განკარგულების პროექტის სათაურისა და მე-3 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

47. ნინო ვარდოსანიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგი, **რიგით ორმოცდამეშვიდე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალური შემადგენლობის ცვლილების თაობაზე საკითხი.**

როგორც კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, მ/წლის 16 ივნისს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას N03-032516743 წერილით მიმართა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარემ ირაკლი ნადირაძემ და წარმოადგინა **ფრაქციის 2025 წლის 11 ივნისის სხდომის ოქმი N12, რომლის თანახმად, აღნიშნული სხდომის ფარგლებში, ფრაქციის წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში ფრაქციის (თანამდებობის არმქონე) წევრების შემდეგი სახით წარდგენის თაობაზე:**

- **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში წარდგენილ იქნა - შოთა გრიგოლია;**
- **ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში - ირაკლი ეძგვერაძე;**
- **ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში - შოთა გრიგოლია;**
- **გარემოს დაცვის კომისიაში - ირაკლი ეძგვერაძე;**
- **სატრანსპორტო საკითხთა კომისიაში - ზვიად კუპრავა;**
- **სარევიზიო კომისიაში - ზვიად კუპრავა;**
- **ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიაში - ბარბარა ჯიმელი-სულაშვილი;**
- **განათლებისა და კულტურის კომისიაში - ბარბარა ჯიმელი-სულაშვილი.**

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს ასევე მიაწოდა ინფორმაცია, რომ მ/წლის 18 ივნისს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარის ოთარ გრიგოლიას მიერ წარედგინა წერილობითი კორესპონდენცია (N03-032516977) და ამავე ფრაქციის სხდომის ოქმი (18.06.2025) N75,** რომლის თანახმადაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას, ეცნობა შემდეგი სახის ღონისძიება:

2025 წლის 18 ივნისს, გაიმართა ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" სხდომა, რომლის ფარგლებშიც, აღნიშნული ფრაქციის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი შემდეგ საკითხს:

- **ოთარ გრიგოლიას მიერ სარევიზიო კომისიის დატოვებისა და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობაში გაწევრების შესახებ.**

კომისიის თავმჯდომარემ აქვე დასძინა, რომ მ/წლის 17 ივნისს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას წარედგინა საკრებულოს **უფრაქციო წევრის თორნიკე ბიკაშვილის წერილობითი განცხადებები (N03-032516854; N03-032516853), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობის დატოვებისა და განათლებისა და კულტურის კომისიის შემადგენლობაში გაწევრების თაობაზე.**

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" და ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის შესაბამისად **დადგენილ, ზემოაღნიშნული კორესპონდენციებით წარმოდგენილი საკითხების თანმდევ, შემდეგ სამართლებრივ პროცედურულ ღონისძიებებზე:**

- **საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" :**

• 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.დ" ქვეპუნქტის თანახმად, **მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება** მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის შექმნა; კომისიის თავმჯდომარის არჩევა და თანამდებობიდან გადაყენება; ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სხდომაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრა და დამტკიცება, **კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღება;** კომისიის დებულების დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა;

• **ამავე ორგანული კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად,** მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა წარმომადგენლობისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც გაერთიანებული არ არიან არცერთ ფრაქციაში. მუნიციპალიტეტის

საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობასა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე კომისია მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით და ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო.

- ამავე ორგანული კანონის 28-ე მუხლის 2[2] პუნქტის თანახმად, **მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიაში წევრის წარდგენის შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის გადაწყვეტილება ეცნობება მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე კომისიას (მუნიციპალიტეტის საკრებულოს) და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს. იურიდიულ საკითხთა კომისია ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე კომისია (მუნიციპალიტეტის საკრებულო) ამოწმებს ფრაქციის მიერ კომისიაში წევრის წარდგენის სისწორეს და საჭიროების შემთხვევაში ახდენს სათანადო რეაგირებას. ფრაქციის მიერ კომისიაში წარდგენილი წევრი კომისიაში დანიშნულად მიიჩნევა აღნიშნული ფაქტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს (მუნიციპალიტეტის საკრებულოს) მიერ ცნობად მიღების მომენტიდან.**

➢ **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის:**

- მე-17[1] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, **მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს გავიდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის შემადგენლობიდან. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრმა კომისიის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ წერილობით უნდა აცნობოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას.**
- 49-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ[2]" ქვეპუნქტის თანახმად, **საკრებულოს ბიურო ცნობად იღებს საკრებულოს კომისიის შემადგენლობაში შეტანილ ცვლილებებს.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაადგინეს, რომ **დაცულია საკრებულოს ფრაქციის მიერ კომისიის წევრის წარდგენის წესი, ამასთანავე, წარმოდგენილი ცვლილებები შეესაბამება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ დამტკიცებულ კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს.**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ კომისია დანართის სახით წარმოადგენს, **ზემოაღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალურ შემადგენლობას, რომელიც ცნობის სახით უნდა მიიღოს ამავე საკრებულოს ბიურომ.**

მოისმინეს:

48. ნინო ვარდოსანიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ორმოცდამერვე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წესდების ცვლილების ცნობად მიღების საკითხი.**

როგორც კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" 2025 წლის 12 ივნისის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ფრაქციის წესდებაში ცვლილების შეტანის, კერძოდ, **სასამართლოში წარმომადგენლობის შესახებ დებულების დამატების თაობაზე.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ცნობად მიიღეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წესდების ცვლილების საკითხი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე	ნ. ვარდოსანიძე	ნინო ვარდოსანიძე
სხდომის მდივანი	ნ. დანელიშვილი	ნინო დანელიშვილი